www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 7 სექტემბერი, 2013 წელი. | №3360 (167) | ფასი 50 თეთრი

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი მეორედ მოხსნეს

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭომ, არხის გენერალურ დირექტორს გიორგი ბარათაშვილს უკვე მეორედ გამოუცხადა უნდობლობა. პირველად ბარათაშვილი ექვსი თვის წინ გადააყენეს, თუმცა სასამართლომ ის თანამდებობაზე აღადგინა. ექვს სექტემბერს გადაწყვეტილება ბორდმა, ორსაათიანი თათბირის შემდეგ, ტელევიზიის შენობასთან მიმდინარე აქციის პარალელურად, ერთხმად მიიღო. ახალი გენერეალური დირექტორის ვინაობა ცნობილი ერთ თვეში გახდება, იქამდე კი დირექტორის მოვალეობას გიორგი ბარათაშვილის პირველი მოადგილე თამაზ ტყემალაძე შეასრულებს. ბორდის წევრები ბარათაშვილის გათავისუფლების მიზეზად ფინანსურ და პროგრამულ საკითხებს ასახელებენ. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ემზარ გოგუაძის განცხადებით, ბარათაშვილი ფინანსური პრობლემებისა და არხის პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის გაათავისუფლეს.

გარდა ამისა, ემზარ გოგუაძე ზეწოლაზე საუბრობს და ამბობს, რომ რამდენიმე დღის წინ, კაბინეტში კონტრდაზვერვის თანამშრომელი ირაკლი ციბაძე დახვდა, რომელიც მის გადაბირებას ცდილობდა. პოზიციის შეცვლის სანაცვლოდ კი მაღალ თანამდებობას დაჰპირდა.

გაგრძელება მე–6 გვერდზე

ივანიშვილს ლატვიის პრემიერმა მერაბიშვილის პატიმრობა გაახსენა

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაცია 2-დღიანი ოფიციალური ვიზიტი ლატვიაში იმყოფება. 8-9 სექტემბერს კი ივანიშვილი ესტონეთში ვიზიტს გეგმავს.

რიგაში ოფიციალური შეხვედრების დაწყებამდე ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ლატვიელ კოლეგა ვალდის დომბროვსკისთან ერთად თავისუფლების მონუმენტი ყვავილების თაიგულით შეამკო.

გაგრძელება მე–3 გვერდზე

ხიდაშელი „რუსთავი 2"-ს უტევს

გუშინ პარლამენტის ტრიბუნიდან კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებით საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ თინა ხიდაშელმა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ს გენერალურ დირექტორი ნიკა გვარამია მომავალი კვირისთვის დაკითხვაზე დაიბარა. როგორც ხიდაშელი ამბობს,

გვარამია ერთადერთი ადამიანია, რომელიც კომისიასთან არ თანამშრომლობს. ხიდაშელის თქმით, კომისიას „რუსთავი 2"-სგან არც ერთი დოკუმენტი არ მიუღია. „გვარამიასგან მუდმივად ვიღებ ბელეტრისტიკულ წერილებს იმის შესახებ, საგამოძიებო კომისიას თურმე რა უფლებები არ გააჩნია. გვარამია კარგი იურისტია და კანონები კარგად იცის, თუმცა მესმის, ჩვენს კითხვებზე პასუხების გამოგზავნა რატომ უჭირს," - აღნიშნავს ხიდაშელი.

ხიდაშელი „რუსთავი 2"-სა და ტელეკომპანია „საქართველოს" ფინანსური სქემის შესახებ საუბრობს. მისი მტკიცებით, ტელეკომპანია „საქართველოს" ყველა ფინანსური ნაბიჯი „რუსთავი 2"-სთვის არაპირდაპირი სიკეთის მიღებით იყო მოტივირებული. ამასთან, ხიდაშელის თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან „რუსთავი 2"-ს არაპირდაპირი ფორმით დაფინანსების საკითხიც იკვეთება.

ფინანსური სქემის შესახებ ხიდაშელი დეტალურად საუბრობს: „2005-2006 წლებში საქართველოში მოქმედ ორ ტელევიზიას „რუსთავი2"-სა და „მზეს" პრაქტიკულად მუდმივ რეჟიმში ეცვლებოდათ მფლობელები, მაგრამ ისინი ერთი და იგივე პირის ხელში გადადიოდა. 2005 წლიდან ბაზარზე „საქცემენტი" შემოდის, რომელთანაც ჩვენი ერთ-ერთი კოლეგა არის დაკავშირებული. დავით ბეჟუაშვილთან დაკავშირებული კომპანიები სხვადასხვა ტელეკომპანიებს ფლობდნენ.

გაგრძელება მე–3 გვერდზე

„დიდი ოცეული" და სირია

თამთა კახაძე

5 სექტემბერს რუსეთის ქალაქ სანქტ-პეტერბურგში „დიდი ოცეულის" ორდღიანი სამიტი გაიხსნა. მართალია, დღის წესრიგში სირიის თემა შეტანილი არ იყო, თუმცა ბოლო პერიოდში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ განხილვების უმთავრესი საკითხი სწორედ სირია იქნებოდა. „დიდი ოცეულის" სამიტი, როგორც წესი, მსოფლიო ეკონომიკის პრობლემებს ეძღვნება ხოლმე.

„დიდი ოცეულის" სამიტს ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც ესწრებოდა.

გაგრძელება მე–4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇩
1 ევრო	2.2110⇩
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇩
1 თურქული ლირა	0.8622⇩
100 რუსული რუბლი	5.0433⇩

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

UNFORGETTABLE ჯაზფესტივალის მოლოდინში

ფესტივალს მარკუს მილერი გახსნის და ნატალი კოლი დახურავს

ია ვექუა

90-იანების დასაწყისში, იმდროინდელ თბილისში პოპულარულ Super Channel-ზე ხშირად ტრიალებდა ერთი ვიდეო - მშვიდი ბალადა Unforgettable, რომელსაც ორი საოცარი ხმა ასრულებდა. მაშინ პირველად გავიგე ნატ კინგ კოლისა და მისი შვილის, ნატალი კოლის არსებობის შესახებ, 20 წლის შემდეგ კი ამ უკანასკნელის კონცერტზე დასწრების შანსი მაქვს. კლასიკური პოპის უდიდესი წარმომადგენელი ნატალი კოლი წლევანდელი თბილისის ჯაზფესტივალის ჰედლაინერი და ჩვენი ჯაზფესტივალების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვარსკვლავი იქნება. მისი საღამო თბილისის საკონცერტო დარბაზში 1 ნოემბერს გაიმართება და მე-16-ე ფესტივალსაც სწორედ ის დახურავს.

ნატალი კოლის მოწვევას კომპანია „ისტერნ პრომოუშენი" წლევანდელ შავი ზღვის ჯაზფესტივალზეც აპირებდა, თუმცა შემცირებული ბიუჯეტის გამო ეს ვერ მოხერხდა. შესაძლოა, ეს უკეთესიც იყოს, რადგან ამ მომღერლის მოსმენა დიდი საკონცერტო დარბაზის აკადემიურ სივრცეში უფრო სასიამოვნო იქნება. თუმცა ნატალი კოლი სწორედ იმ მუსიკოსთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა მოსმენაც ნებისმიერ ადგილასა და დროს ერთნაირ აღფრთოვანებას იწვევს - მისი მშვიდი, გამჭოლი, მდიდრული და საოცრად მომხიბლავი ხმა ნებისმიერი მუსიკალური მოთხოვნილების მქონე მსმენელამდე დაუბრკოლებლად და ჰარმონიულად მიდის, აღწევს მის გონებაში და სამუდამოდ იქ იბუდებს.

გაგრძელება მე–5 გვერდზე

გიგა გურასაშვილის ფოტო

მარკუს მილერი. თბილისი, 2009 წ.

საქართველოს მთავრობა უარყოფს ინფორმაციას, თითქოს საქართველო აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე თანახმაა

სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივნის არტურ ბაღდასარიანის განცხადება იმის თაობაზე, თითქოს საქართველო აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე თანახმაა, სიმართლეს არ შეესაბამება, - ამის შესახებ საქართველოს მთავრობის განცხადებაშია ნათქვამი.

„საქართველოს ხელისუფლებამ ამ თემით დაინტერესება ადრეც გამოხატა და ახლაც მზად არის განიხილოს ეს ინიციატივა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რაიმე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ რკინიგზის აღდგენის საკითხს საქართველოს მთავრობა სწავლობს და მიაჩნია, რომ ეს შესაძლოა საინტერესო იყოს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე გასავლელია გრძელი გზა. მათ შორის გასარკვევია არაერთი პოლიტიკური და ტექნიკური საკითხი, ასევე, უნდა შედგეს დისკუსია და მოხდეს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.

ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით არანაირი ოფიციალური გადაწყვეტილება არ მიუღია და წინასწარ რაიმე განცხადებების გაკეთება ნაადრევია“, - აღნიშნულია მთავრობის განცხადებაში.

ვანო მერაბიშვილმა წონაში მკვეთრად დაიკლო - 90-დან 75კგ-მდე

„ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია,“ - ამის შესახებ news.ge-ს კარდიოლოგმა შალვა პეტრიაშვილმა განუცხადა. პეტრიაშვილი მერაბშვილის სანახავად ე.წ. მატროსოვის ციხეში იმყოფებოდა. მასთან ერთად სასჯელაღსრულების #9 დაწესებულებაში „ჯოენის კლინიკის“ ექიმი და სასჯელაღსრულების სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე ნათია ლანდია იყო.

შალვა პეტრიაშვილის ინფორმაციით, მერაბიშვილს გულ-სისღლძარღვთა სისტემის მხრივ მდგომარეობა სტაბილურად აქვს და მას ამ მხრივ ზედმეტი გამოკვლევა, არ სჭირდება. მისივე თქმით, შემაშფოთებელი მხოლოდ წონის მკვეთრი ცვლილებაა, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის წონა, 90 კილოგრამიდან, 75-მდე შემცირდა.

მისივე თქმით, მერაბიშვილს გულის ქრონიკული პრობლემა აქვს, თუმცა ამ ეტაპზე, მკურნალობასა და სამედიცინო ჩარევას, არ საჭიროებს. „ვანო მერაბიშვილს ხერხემლის პრობლემა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მას აღნიშნული პრობლემა ადრეც აწუხებდა, ამ სიტუაციაში უფრო გაუმწვავდა და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს. გულის მხრივ პრობლემები არ აქვს, შეინიჩნება გულის ფრიალები, პერიოდულად არის ხოლმე აჩქარებები, მაგრამ გამოკვლევები გაკეთებულია და საგანგაშო არაფერი არაა,“ - ამბობს პეტრიაშვილი.

„მას საავადმყოფოში გამოკვლევვა არ სჭირდება. მას მხოლოდ ის გამოკვლევები სჭირდება, რომელიც წონის კლების მიზეზს დაადგენს. დარჩენილია რამდენიმე ისეთი გამოკვლევა, რომელიც უნდა გაკეთდეს, თუმცა ეს საჩქარო არაა და რაღაც პერიოდში, აუცილებლად გაკეთდება. ამას უკვე სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გადაწყვეტს. ეს რომ გადაუდებელი იყოს, მას დღესვე გაუკეთებდნენ, მაგრამ ეს ზოგადად გასაკეთებელი გეგმიური გამოკვლევაა,“ - განაცხადა შალვა პეტრიაშვილმა news.ge-სთან საუბრისას.

პეტრიაშვილი განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის პატრიარქის პირადი კარდიოლოგი მართლაც არის, ამ სიტუაციაში საპატრიარქო არაფერ შუაში არაა, რადგან მას სასჯელაღსრულების სამინისტროდან დაურეკეს და უთხრეს, რომ კომისიის საქმიანობაში იყო ჩართული.

ე.წ. მატროსოვის ციხეში ვანო მერაბიშვილთან ექიმები დაახლოებით 2-3 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ. შეგახსენებთ, რომ მერაბიშვილთან ექიმები მხოლოდ მას შემდეგ შეუშვეს, რაც მისმა ადვოკატმა, გიორგი ჩიგვიაშვილმა სასჯელაღსრულების სამინისტროს თხოვნით მიმართა და განუმარტა, რომ მერაბშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო. სამინისტრომ აღნიშნული მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მერაბიშვილის ახლობლებს მხოლოდ ერთი ექიმის შეყვანის საშუალება მისცეს. სწორედ მერაბიშვილის ოჯახისწევრების გადაწყვეტილებით შევიდა პატიმრის მოსანახულებლად „ჯოენის კლინიკის“ ექიმი, გრიგოლ ხურციძე.

ელჩებს პარლამენტი აღარ დაამტკიცებს

პარლამენტში 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებებით გამოწვეული კანონპროექტების განხილვა გრძელდება. კანონპროექტთა უმრავლესობა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვისკენ არის მიმართული. თუმცა, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებებით პარლამენტის უფლებამოსილება იზღუდება. კანონპროექტის თანახმად, დიპლომატიური სამსახურების ხელმძღვანელებს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით დანიშნავს და გაათავისუფლებს. პროცესში პარლამენტი მონაწილეობას აღარ მიიღებს.

მოქმედი კანონმდებლობით, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს პრეზიდენტი პარლამენტის დამტკიცების შემდეგ, ათი დღის ვადაში ნიშნავს, ხოლო თანამდებობიდან საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადებით ათავისუფლებს.

ახალი კანონპროექტი თავად ინიციატორებისთვისაც მიუღებელია, თუმცა როგორც ერთ-ერთი ინიციატორი ანი მიროტაძე აღნიშნავს, პარლამენტარები იძულებული არიან კონსტიტუციურ ნორმებს დაემორჩილონ. მიროტაძის აზრით, ეს ცვლილება არამხოლოდ პარლამენტის, არამედ დიპლომატების როლს აკნინებს, რადგან პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ელჩებს მეტი ლეგიტიმაცია გააჩნიათ.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრმა ირაკლი ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ პარლამენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სწორედ საგარეო პოლიტიკის ზედამხედველობაა, ელჩები კი საგარეო პოლიტიკაში უშუალოდ მონაწილეობენ.

დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ, მას შემდეგ, რაც კონსტიტუციის ფუნდამენტური გადახედვის მიზნით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნება, ეს საკითხი დღის წესრიგში აუცილებლად უნდა დადგეს. მანამდე კი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს სურს, ელჩობის კანდიდატებს კომიტეტის წინაშე გამოსვლის ვალდებულება მაინც დააკისროს.

საკუთარი ინფორმაცია

NDI-ის პრეზიდენტი: პოლიტიკური აქტორების მიერ გამოთქმული შეშფოთებები სერიოზულია

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო დელეგაციამ საქართველოში წინასაარჩევნო გარემოს შესახებ განცხადება გააკეთა.

NDI-ის დელეგაცია საქართველოს ორ სექტემბერს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ხელისუფლებასთან, საარჩევნო ადმინისტრაციასთან, საპრეზიდენტო კანდიდატებთან, პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან, სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

NDI-ის წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიშში საუბარია ადიგენის გამგებლის მიმართ გატარებული საგამოძიებო მოქმედებებზე.

დოკუმენტის მიხედვით, ადიგენის გამგებლის მიმართ გატარებული საგამოძიებო მოქმედებები და მისი დაპატიმრება უწყებათაშორისი კომისიის მიერ მიღებული რეკომენდაციის თანმიმდევრული არ არის.

დელეგაციამ მოისმინა ინფორმაცია ძალადობის შემთხვევების შესახებაც, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის, საჯარო მოხელეებისა და უმცირესობების ჯგუფების, მათ შორის მუსლიმების და ლგბტ ადამიანების უფლებათა დამცველების წინააღმდეგ იყო მიმართული.

„თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ხდებოდა ძალადობაში მონაწილეთა დაკავება, ის მცირე ფულადი ჯარიმები, რაც მათ დაეკისრათ, მსგავსი ქმედების პრევენციისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია შეკრების თავისუფლება და ეს უფლება უპირობოდ უნდა იქნას დაცული. საჯარო მოხელეებსა და კანდიდატებს უნდა მიეცეთ საშუალება, შეასრულონ საკუთარი მოვალეობები დაშინების ან ფიზიკური ხელყოფის საფრთხის გარეშე. ბოლო ოცწლეულის მანძილზე ამ კუთხით ვითარება მუდმივად უმჯობესდებოდა. საარჩევნო გარემოში ზეწოლის შესახებ შთაბეჭდილებამაც კი შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პარტიულ აქტივისტებსა და ამომრჩეველზე“, - ნათქვამია ანგარიშში.

დელეგაცია დადებითად აფასებს იუსტიციის მინისტრის 4 სექტემბრის განცხადებას, რომლითაც მან დაადასტურა უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი თანამდებობის პირებისა და პარტიული შტაბის აქტივის წევრების დაკითხვების დროებით შეჩერების შესახებ.

„თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოს ბოლოს ადიგენის გამგებლის მიმართ გატარებული საგამოძიებო მოქმედებები და მისი დაპატიმრება უწყებათაშორისი კომისიის მიერ მიღებული რეკომენდაციის თანმიმდევრული არ არის“, - ნათქვამია ანგარიშში.

NDI უწყებათაშორის კომისიას საარჩევნო კამპანიის განმავლობაში გამოვლენილ დარღვევებზე დაუყოვნებლივ რეაგირებას ურჩევს.

NDI-ის რეკომენდაციით, უწყებათაშორისმა კომისიამ საზოგადოებას ასევე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კამპანიისას გამოვლენილი ძალადობის, თუ არჩეული ან დანიშნული თანამდებობის დროზე ადრე დატოვების მიზნით მოხელეებზე ზეწოლის ფაქტებზე რეაგირების შესახებ.

„ძალოვანმა უწყებებმა დაიცვან შეკრების თავისუფლება და უზრუნველყონ საკმარისი დაცვა ძალადობის თავიდან ასაცილებლად; პოლიციამ, პროკურორებმა და მოსამართლეებმა უზრუნველყონ, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევებში გამოყენებული სანქციები დარღვევის პროპორციული იყოს და ემსახურებოდეს მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენციას; სახელმწიფო თანამდებობის პირებმა უზრუნველყონ, რომ ყველა საჯარო მოხელე სრულად იყოს ინფორმირებული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების წესების შესახებ და გაატარონ სანქციები ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში; პოლიტიკურმა ლიდერებმა მუდმივად უზრუნველყონ, რომ მათ მხარდამჭერებს და აქტივისტებს ნათლად ქონდეთ გაცნობიერებული, რომ პოლიტიკურ კამპანიაში ძალადობის ადგილი არ არის. მათ ასევე მკაცრი ზომები უნდა გაატარონ იმ მხარდამჭერების მიმართ, ვინც ძალადობრივ ქმედებებში იქნება ჩართული“, - ნათქვამია ანგარიშში.

დელეგაცია შეშფოთებით აღნიშნავს მუნიციპალურ არჩევნებამდე ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების მიერ თანამდებობების დროზე ადრე დატოვების ტალღას.

შეფასებისას NDI „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ანგარიშს ეყრდნობა, რომლის თანახმად, 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის მარტამდე ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე 5000-ზე მეტმა საჯარო მოხელემ თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა ან გაათავისუფლეს.

„2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მაშინდელი მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტებში უმრავლესობას ფლობდა. ყველა საკრებულოს თავმჯდომარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო და ყველა გამგებელიც ამავე პარტიიდან იყო დანიშნული. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ანგარიშის თანახმად, არჩევნების შემდგომ პერიოდში, 69-დან 56 გამგებელი, ხოლო 69-დან 31 საკრებულოს თავმჯდომარე კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატით შეიცვალა. ზოგიერთ შემთხვევაში თანამდებობის პირებმა პოლიტიკური გუნდი შეიცვალეს ან საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე დატოვეს თანამდებობა. რიგ შემთხვევებში კი, კონკრეტული პირების განცხადებით, მათზე, თანამდებობის დატოვების მიზნით, ზეწოლა განხორციელდა.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ და საიას დაკვირვების თანახმად, თანამდებობიდან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გადადგომის მოთხოვნით საქართველოს მასშტაბით 74 საპროტესტო აქცია გაიმართა. ხელისუფლების ერთ დონეზე არჩევნების შედეგები არ უნდა აბათილებდეს არჩევნების შედეგებს ხელისუფლების სხვა დონეებზე, ეს დემოკრატიული მმართველობის პრინციპია“, - აღნიშნულია ანგარიშში.

NDI არჩევნების ადმინისტრირების კუთხით შემაშფოთებელ ასპექტად ცესკო-ს თავმჯდომარის გადადგომას და მის საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებას ასახელებს. როგორც წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიშია ნათქვამი, საკითხი პრობლემატურია, რადგან კომისია მოახლოებულ არჩევნებს მუდმივმოქმედი ხელმძღვანელობის გარეშე ხვდება.

„ასევე, ეს გადაწყვეტილება მის მიერ თანამდებობის დატოვებამდე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის შესახებ კითხვებს ბადებს. თუმცა ის ფაქტი, რომ, საერთო ჯამში, საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნებისთვის პროფესიონალურად მზადებას განაგრძობს, მიუთითებს ყოფილი თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის დროს კომისიის ხარისხის ზრდაზე“, - ნათქვამია ანგარიშში.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტმა პრეზიდენტს „ცესკოს“ახალი თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება, ხოლო კომისიას და პარლამენტს მის სწრაფად დამტკიცება ურჩია.

„პარლამენტმა ნათლად განსაზღვროს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებს, თუ რა სახის მონაწილეობაა დასაშვები თანამდებობის პირებისთვის კამპანიაში; ადგილობრივი არჩევნების შესახებ კანონმდებლობაში ნებისმიერი გაუმჯობესება პარლამენტმა შეძლებისდაგვარად სწრაფად მიიღოს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ბოლო წუთს მიღებული შესწორებები; პარლამენტმა იფიქროს საჯარო სამსახურის ყოვლისმომცველი, მერიტოკრატიაზე დაფუძნებული რეფორმის შესახებ, რათა უზრუნველყოს საჯარო მოხელეების უწყვეტი დასაქმება, არჩევნების შედეგების მიუხედავად; პარლამენტმა, იუსტიციის სამინისტრომ და ცესკომ განიხილონ ალტერნატიული გზები, რომლებიც რეგისტრაციიდან მოხსნილ პირებს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას შეუქმნის და, ამავდროულად, არჩევნების სანდოობას შენარჩუნებს; პარლამენტმა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო რესურსები გააჩნდეს; პარლამენტმა, იუსტიციის სამინისტრომ და ცესკომ ფრთხილად განიხილონ ნებისმიერი ახალი ბიომეტრიული საიდენტიფიკაციო სისტემის განხორციელების ალტერნატივები, რათა არ მოხდეს ამომრჩეველისთვის საარჩევნო უფლების შეზღუდვა; მომავალი ადგილობრივი არჩევნებისთვის პოლიტიკურმა პარტიებმა შეარჩიონ, მოამზადონ და დააყენონ ქალ კანდიდატთა მეტი რაოდენობა და მეტად განავითარონ პარტიის ინფრასტრუქტურა, რათა მხარი დაუჭირონ ქალებს და მათ პრობლემებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები პარტიის პოლიტიკის ფორმირებისას გაითვალისწინონ“, - აღნიშნულია ანგარიშში.

NDI-ის ინფორმაციით, პარტიების, კანდიდატებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა საარჩევნო კოდექსში შესულ ცვლილებებს პოზიტიურად აფასებს და აღნიშნავს, რომ საარჩევნო კანონმდებლობა სანდო არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, რამდენიმე არასაპარლამენტო პარტიამ უკმაყოფილება გამოთქვა 2013 წლის ცვლილებების განხილვის პროცესში მათი ჩართულობის ხარისხზე. უფრო მეტიც, მათ შეშფოთება გამოხატეს იმასთან დაკავშირებით, რომ განსხვავებით წინა არჩევნებისგან, არასაპარლამენტო პარტიებს საარჩევნო კომისიების არც ერთ დონეზე წარმომადგენლობა არ ეყოლებათ; საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ამჟამად მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არის წარმოდგენილი. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე საარჩევნო კომისიებში მმართველი კოალიციის დომინირებაზე მიუთითეს. დამატებით, ცესკომ და საარჩევნო შტაბების წარმომადგენლებმა არჩევნებამდე დარჩენილ მცირე დროში ცვლილებებთან მორგებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატეს და მათი ადეკვატური გასაჯაროება და განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. პოტენციურ პრობლემად დასახელდა ადგილობრივი არჩევნებისთვის დროული ბიომეტრიული რეგისტრაცია ისე, რომ საარჩევნო უფლების განხორციელებას მასობრივად არ შეეშალოს ხელი.

NDI-ის შეფასებით, წინააღმდეგობრივ საკითხად გამოიკვეთა ცესკო-ს მიერ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა რეგისტრაციაზე უარის თქმა.

„ერთ შემთხვევაში სასამართლომ ცესკოს გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა. მოქალაქეობის საკითხის ირგვლივ მიმდინარე დებატები მიუთითებს კანდიდატისა და თანამდებობის დაკავებისათვის არსებული მოთხოვნების დაზუსტების აუცილებლობაზე და აგრეთვე აღნიშნული სტანდარტების გამოყენების თანმიმდევრულობაზე“, - ნათქვამია ანგარიშში.

NDI-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს ამომრჩეველი, გასულ არჩევნებთან შედარებით, ღია და თავისუფალი საარჩევნო გარემოთი სარგებლობს.

დოკუმენტის თანახმად, საპრეზიდენტო კანდიდატებს საშუალება აქვთ ესაუბრონ ელექტრორატს მედიის საშუალებით და, საპარლამენტო ოპოზიციის მაღალი თანამდებობის პირებთან დაკავშირებული რამდენიმე შემთხვევის გარდა, დაუბრკოლებლად შეხვდნენ ამომრჩეველს.

„სამოქალაქო საზოგადოების წევრებს საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირებზე ხელი მიუწვდებათ. ახალი საარჩევნო კოდექსი წინა არჩევნების დროს გამოვლენილ რამდენიმე გამოწვევას პასუხობს. საქართველოს ელექტორატს საშუალება აქვს, თვალყური ადევნოს პლურალისტურ და ხმაურიან პოლიტიკურ დებატებს. NDI-ის სადამკვირვებლო დელეგაციასთან პოლიტიკური აქტორების მიერ გამოთქმული შეშფოთებები სერიოზულია, თუმცა წინასთან შედარებით - ნაკლებად გავრცელებული“, - ნათქვამია ანგარიშში.

NDI-ის პრეზიდენტის კენეთ ვოლაის განცხადებით, თუ საქართველო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საპრეზიდენტო არჩევნებს ჩაატარებს, ეს ხელს შეუწყობს დემოკრატიული კულტურის განვითარებას და რეგიონში განსაკუთრებული მიღწევა იქნება.

ანგარიშში ნათქვამია, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად, ქართველი მაღალჩინოსნები უნდა გაუმკლავდნენ იმ საკითხებს, რომლებმაც, შესაძლოა, საარჩევნო პროცესის სანდოობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

„დელეგაციამ მოისმინა სერიოზული შეშფოთებები პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის, დაკითხვებისა და გამოძიებების, ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური ხელისუფლების არჩევნების გარეშე ცვლილებისა და უმცირესობების მიმართ შეუწყნარებლობის შესახებ. ყველა პოლიტიკურ აქტორს ეკისრება პასუხისმგებლობა, საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენონ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტები და პროცესები“, - აღნიშნულია ანგარიშში.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ივანიშვილს ლატვიის პრემიერმა მერაბიშვილის პატიმრობა გაახსენა

პირველი გვერდიდან

პრემიერ-მინისტრებს შორის შეხვედრა მინისტრთა კაბინეტის შენობაში გაიმართა. ერთობლივ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით ლატვიის გამოცდილების გაზიარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

„ორივე მხარემ აღვნიშნეთ, რომ ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს ალტერნატივა არ აქვს. კოლეგა დავარწმუნე, რომ ის დახმარებები და მხარდაჭერა, რომელსაც ლატვიისგან ვღებულობთ, ფუჭად არ ჩაივლის და უახლოეს მომავალში გახდება ევროატლანტიკური სივრცის ღირსეული წევრი," - თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი თბილისში 4 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე წამოჭრილ საკითხსაც შეეხო და აღნიშნა: „ევრაზიულ კავშირს, ან სხვა ნებისმიერ კავშირს, რაც შეეხება, რომელიც შეიძლება ჩვენთან ახლოს ან მოშორებით ჩამოყალიბდეს, რა თქმა უნდა, ჩვენ მათ შევისწავლით, დავაკვირდებით და თუ ის საინტერესო და ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება, შეიძლება ნებისმიერ გაერთიანებაში მივიღოთ მონაწილეობა, მაგრამ ხაზს ვუსვამ, არა ჩვენი სტრატეგიის საფასურად და მის საზიანოდ. სტრატეგია იქნება შეუცვლელი", - აცხადებს ბიძინა ივაშვილი.

ივანიშვილმა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებაც ისაუბრა.

„კოლეგა დავარწმუნე, რომ საქართველოში არა ევროპის მსგავსი, არამედ ტიპიურად ევროპული ევროპული არჩევნები ჩატარდება. არჩევნებს ბევრი დამკვირვებელი დაესწრება და ევროპას დავარწმუნებთ, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეგვიძლია", - აღნიშნა საქართველო პრემირ-მინისტრმა.

ლატვიის პრემიერ-მინისტრის თქმით, შეხვდრაზე განხილვის თემა ლატვიასა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავება იყო, მათ შორის ვაჭრობის და ეკონომიკური თვალსაზრისით. დომბროვსკის მიაჩნია, რომ საქართველოსა და ლატვიას ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის დიდი პოტენციალი აქვს. როგორც პრემიერ დასძენს, რიგასა და თბილისს შორის პირდაპირი ავიარეისები უკვე სრულდება.

ვალდის დომბროვსკი, ასევე შეეხო ვილნიუსის სამიტს და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო ასოცირების შესახებ შეთანხმების კუთხით წარმატებას მიაღწევს.

ლატვიის პრემიერი ყურადღებას ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობების პირების დაკავებებსა და გამოძიებაზე ამახვილებს. „აუცილებელია, რომ სასამართლო პროცესები, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრის საქმეზე, გამჭვირვალე იყოს," - აცხადებს ვალდის დომბროვსკი.

ვიზიტის ფარგლებში ბიძინა ივანიშვილი ლატვიის პრეზიდენტს ანდრის ბერზინშის პირისპირ ესაუბრა. მანამდე კი პრეზიდენტის სასახლეში პრეზიდენტთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს დელეგაცია სრული შემადგენლობით ესწრებოდა. ივანიშვილმა ლატვიის პრეზიდენტს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის გატარების პროცესში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

პრემიერი, ასევე შეხვდა ლატვიის პარლამენტის თავმჯდომარეს სოლვიტა აბოლტინას. მხარეებმა პარლამენტთაშორისი ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე იმსჯელეს. როგორც შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საპარლამენტო განზომილების გააქტიურება და საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის მეტი შესაძლებლობების შეიქმნა მნიშვნელოვანია. პრემიერის თქმით, ლატვიას ახლო მომავალში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ეწვევა.

პრემიერის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ოფიციალური შეხვედრების შემდეგ სამუშაო სადილი გაიმართა, სადაც ბიძინა ივანიშვილი ლატვიელ ბიზნესმენებს შეხვდა და მათ საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

„შეხვედრამ თბილ და მეგობრულ გარემოში ჩაიარა. ლატვიელმა ბიზნესმენებმა საქართველოსთან ბიზნესურთიერთობების გაფართოების ინტერესი და სურვილი გამოთქვეს," - ამბობს ივანიშვილი.

ლატვიაში ვიზიტის პირველი დღე საქართველოს დელეგაციის წევრებმა შეაფასეს. საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ამბობს, რომ ლატვია იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც საქართველოს არამხოლოდ ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ან ნაერო-ში, ქართველი დევნილების დაბრუნების საკითხში მხარს აქტიურად უჭერენ, არამედ ლატვია და ბალტიისპირეთის ყველა ქვეყანა ევროპაში საქართველოს მეგზურები არიან.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი ამბობს, რომ რიგაში გამართულ შეხვედრებზე აქცენტი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირების მხარდაჭერაზე გაკეთდა. პეტრიაშვილის თქმით, შეხვედრებზე, ასევე ხასგასმით აღინიშნა, რომ ლატვია საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მისწრაფებას მარს უჭერს.

საკუთარი ინფორმაცია

ხიდაშელი „რუსთავი 2"-ს უტევს

პირველი გვერდიდან

აქედან იწყება ისტორია, რომელიც 2011 წლამდე გრძელდება. მოგვიანებით ტელეკომპანიებს ძმები ყარამანაშვილები ფლობენ. საქმე ის არის, რომ „მაუწყებლობის შესახებ" კანონი ერთ პირს (როგორც ფიზიკურს, ასევე იურიდიულს) საერთო ეროვნული სიხშირის მქონე ერთზე მეტი ლიცენზიის ფლობას უკრძალავს. მაგრამ, ეს შეზღუდვა ბატონ ბეჟუაშვილსა და მის კომპანიებზე არ ვრცელდებოდა. კომუნიკაციების ეროვნული კომისია ამ საკითხზე თვალს ხუჭავდა."

ხიდაშელის მტკიცებით, ტელეკომპანია „საქართველოს" შემთხვევაშიც ანალოგიური ვითარებაა, რომელიც ბაზარზე მოგვიანებით გამოჩნდა. თინა ხიდაშელის ინფორმაციით, ტელეკომპანია „საქართველომ" სახელმწიფო ბიუჯეტიდან აბსოლუტურად უკანონოდ 26 მილიონი ლარი მიიღო. „პრეზიდენტის აქტი, რომლითაც ტელეკომპანიის დასაფინანსებლად ნებართვაა გაცემული პირდაპირი სპონსორობის შესახებ მიუთითებს. „მაუწყებლის შესახებ" კანონი სატელევიზიო ეთერში ბიუჯეტიდან გადაცემების სპონსორობას კრძალავს, თუმცა ტელეკომპანია „საქართველოს" ეთერში ბიუჯეტის ხარჯზე მთლიანი გადაცემები გადიოდა და არა ბიუჯეტის თანხებით დამზადებული რეკლამები. ამ საკითხით კომუნიკაციების ეროვნული კომისია არასდროს დაინტერესებულა," - აღნიშნავს ხიდაშელი.

უმრავლესობის წევრი ტელეკომპანია „საქართველოსთან" დაკავშირებული სხვა ფინანსური დარღვევების შესახებაც საუბრობს: „საქართველო" „რუსთავი2"-ს შენობიდან მაუწყებლობდა. ყველაფერი, რაც ამ წლების განმავლობაში ტელეკომპანია „საქართველომ" შეიძინა (რომლიც საფასურიც 29 მილიონი ლარი იყო), 2012 წლის 1 ოქტომბერის არჩევნების შემდეგ „რუსთავი 2"-ს საკუთრება გახდა. საინტერესო, თუმცა ერთნაბიჯიან სქემასთან გვაქვს საქმე - 2012 წლის ოქტომბერში, „საქართველომ" „რუსთავი 2"-ს 51 პროცენტიანი წილი იყიდა, მაგრამ ფულის ნაცვლად იმ ქონებით შევიდა, რომელიც მანამდე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ჰქონდა შეძენილი. გაცილებით საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: - 2012 წლის ზაფხულში „რუსთავი2"-სა და „საქართველოს" შორის მოლაპარაკებები დასრულდა, რომლის საფუძველზეც ტელეკომპანია „საქართველომ" „რუსთავი 2"-სგან 2 ათასი კვ.მ მიწის ნაკვეთი და 4 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობები იყიდა, რაშიც დაახლოებით 6 მილიონი ლარი გადაიხადა. თუმცა, 51 პროცენტიანი წილის შესყიდვის შემდეგ, ეს მიწა „რუსთავი 2"-ს დაუბრუნა. გამოდის, რომ „საქართველომ" სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფულით „რუსთავი 2"-სგან რაღაც ქონება იყიდა, რის გამოც „რუსთავი 2"-მა გარკვეული ფულადი სიკეთე მიიღო. შემდეგ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები მასვე დაუბრუნდა," - ამბობს თინა ხიდაშელი.

თინა ხიდაშელს „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია გამოეხმაურა, რომელიც პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობისთვის მზად არის, თუმცა „რუსთავი 2" ვალდებული არ არის კომისიის თავმჯდომარეს თინა ხიდაშელს ინფორმაცია მიაწოდოს. გვარამიას თქმით, მართალია, ხიდაშელის მიერ დასმული კითხვები კომერციულ საიდუმლოებას ეხება, თუმცა თუ ტელეკომპანიას უფლებამოსილი ორგანო მომართავდა, მისთვის პასუხის გასაცემად მზად იყო. გვარამიას განმარტებით ეს ორგანოები არიან საგადასახადო და საგამოძიებო სამსახურები, ხოლო ერთადერთ გამონაკლისს კი პარლამენტის საგამოძიებო კომისია წარმოადგენს. როგორც ნიკა გვარამია ამბობს, თინა ხიდაშელი კომისიის თავმჯდომარეა და არა საგამოძიებო კომისია. გვარამიას თქმით, ხიდაშელს „რუსთავი 2"-სგან ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დამადასტურებელი არც ერთი ოქმი არ წარმოუდგენია. „საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ეს თინა ხიდაშელის თვითშემოქმედებაა, რომელსაც არ ვუპასუხობთ. თუ ხიდაშელი დამიბარებს, მისვლას არ ვაპირებ, ის კომისიას არ წარმოადგენს. თუ კომისია დამიბარებს, აუცილებლად მივალ. კომისიასთან თუ არ ვითანამშრომლე ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. ხიდაშელს პროკურატურისთვის უნდა მიემართა და ჭორებზე საუბრისგან თავი შეეკავებინა," - დასძენს ნიკა გვარამია.

რაც შეეხება „რუსთავი 2"-სთვის გაგზავნილ კითხვებს, გვარამიას თქმით, პირველ წერილში ხიდაშელი „რუსთავი 2"-ის საეთერო ბადეში გასართობი გადაცემების განთავრების შესახებ ინფორმაციას ითხოვს. როგორც გვარამიამ აღნიშნა, მეორე წერილში თინა ხიდაშელმა „რუსთავი 2"-ის ეთერში რეკლამის განთავსების შესახებ ინფორმაცია და იმ კომპანიის დასახელება ითხოვა, რომელიც მომსახურებას ეწევა. მესამე წერილში კი, როგორცგვარამია ამბობს, ხიდაშელი შესყიდვების შესახებ ინფორმაციას ითხოვს. „თუ ვინმე იტყვის, ეს „რუსთავი2"-ის წილებთან რა კავშირშია, მადლობელი დავრჩები. იმედია ხიდაშელი ამას განმარტავს," - შენიშნავს ნიკა გვარამია.

გვარამიას აზრით, თინა ხიდაშელი „რუსთავი 2"-ს რამდენიმე წელია ებრძვის. „რუსთავი 2"-ის გენერალურმა დირექტორმა ხიდაშელის ქმედებების წარმოსაჩენად მაგალითი მოიტანა. „საქართველოში არცთუ ბევრი ჟურნალისტია, ვისაც თოქ-შოუ მიჰყავს. ერთ-ერთ მათგანთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით. მან უარი მხოლოდ და მხოლოდ თინა ხიდაშელთან კონსულტაციის გავლის შემდეგ გვითრა, რომელმაც ურჩია, რომ „რუსთავი2"-ზე არ წავიდეს, რადგან ტელეკომპანია წლის ბოლომდე არ იარსებებს. ხიდაშელს უთქვამს - ამას მე უზრუნველვყოფო," - აღნიშნავს გვარამია და განაგრძობს, - ხიდაშელი „რუსთავი 2"-ის შესახებ ვერასდროს ვერაფერს ვერ უზრუნველყოფს. ის უფრო საინტერესო და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმეებით უნდა დაკავდეს. ხიდაშელმა შესაძლოა რომელიმე მიმართულებით წარმატებას მიაღწიოს და ცხოვრების მიზნად „რუსთავი 2"-თან ბრძოლას ნუ გაიხდის."

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ინიციატივით, საკანონმდებლო ორგანოში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელის კარლო კვიტაშვილის იმპიჩმენტის პროცედურაც დაიწყო. თინა ხიდაშელმა წარმოადგინა ტექსტი, რომელზეც სულ მცირე 50-მა პარლამენტარმა ხელი უნდა მოაწეროს. „სახეზე ორი კანონის - „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" და „მაუწყებლის შესახებ" კანონის დარღვევებია. ხელმოწერების შეგროვების შემდეგ იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყება," - ამბოსბ ხიდაშელი.

საკუთარი ინფორმაცია

სასამართლო ხელისუფლება ახალი საკანონმდებლო ინიციატივებით გამოდის

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა ჟურნალისტებს სასამართლო ხელისუფლების პრიორიტეტული სამუშაო მიმართულებები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივების პაკეტი წარუდგინა.

როგორც კუბლაშვილი ამბობს, სასამართლო რეფორმის გაგრძელებისა და სრულყოფის მიზნით, სამი ძირითადი მიმართულებაა წამოწეული, რომელიც სასამართლო ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული იქნება.

ესენია: სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერება, სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესება და სასამართლოს ადმინისტრაციული/მენეჯერული სისტემის გაუმჯობესება. კუბლაშვილის თქმით, ამ მიმართულებებზე სამუშაოდ სასამართლო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან აქტიურად ითანამშრომლებს. კუბლაშვილის თქმით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საკანონმდებლო ცვლილებათა 5 პაკეტი უკვე მოამზადა. კუბლაშვილი თითოეული საკითხის შესახებ დეტალურად საუბრობს. პირველი მოსამართლეტა უვადო დანიშვნის საკითხს ეხება.

„იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მომაზადა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს. კონსტიტუციაში უკვე არსებობს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, უნდა მოხდეს მოსამართლეების უვადო დანიშვნის სისტემის ამოქმედება. ყველა ახლად დანიშნული მოსამართლე ყველანაირი გამოსაცდელი ვადის გარეშე 65 წლის ასაკამდე უვადოდ დაინიშნება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივაც სწორედ ამ პროცედურების დროულად დაწყებას შეუწყობს ხელს," - ამბობს კუბლაშვილი.

კიდევ ერთი პროექტი მოსამართლეთა სოციალური გარანტიების გაზრდას ისახავს მიზნად. კუბლაშვილის თქმით, წარმოდგენილი ცვლილების პროექტის თანახმად, პირველი ინსტანციის მოსამართლის დარიცხული ხელფასი 4000 ლარამდე უნდა გაიზარდოს. ასევე, იგეგმება მოსამართლეთა საპენციო სისტემის ახალი მოდელის ამოქმედება, რომელიც 10 წლის სტაჟის მქონე მოსამართლისთვის თანამდებობრივი სარგოს 45 პროცენტის ოდენობის პენსიის დანიშნას ითვალისწინებს.

ახალი ინიციატივები, ასევე ითვალისწინებს დისციპლინური სამართალწარმოების დახვეწას. სასამართლო ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის მიხედვით, მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინარული საქმისწარმოების დაწყების საფუძველი უნდა გახდეს მხოლოდ და მხოლოდ სამოსამართლეო ეთიკის ნორმების დარღვევა. „ეს არსებული კანონმდებლობის ბუნდოვან და ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას თავიდან აგვარიდებს," - ამბობს კონსტანტინე კუბლაშვილი. კუბლაშვილის განცხადებით, ინიციატივები იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსის ხანგრძლივობის გაზრდასაც ისახავს მიზნად. „მოსამართლეობის კანდიდატთა უკეთ მომზადების მიზნით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების კურსი 10 თვიდან უნდა გაიზარდოს 15 თვემდე," - აღნიშნავს კუბლაშვილი. კონსტანტინე კუბლაშვილის თქმით, აღნიშნული ინიციატივების შესახებ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრები მომავალ კვირას იმსჯელებენ, რის შემდეგაც პროექტები საკანონმდებლო ორგანის გადაეცემა.

სამართალდამცველებმა ე.წ. „ქურდული სამყაროს" ორი დაჯგუფება დააკავეს

სამართალდამცველებმა მარნეულისა და დმანისის რაიონებში ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ერთდროულად დააკავეს ე.წ. „ქურდული სამყაროს" 13 წევრი, რომლებიც ორ დაჯგუფებას განეკუთვნებიან. შსს-ს ინფორმაციით, სპეცოპერაციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

დაკავებული არიან: ძმები - 1969 წელს დაბადებული რასიმ ო. და 1973 წელს დაბადებული ნამიკ ო., 1990 წელს დაბადებული რაშიდ გ., 1985 წელს დაბადებული გიორგი კ., 1970 წელს დაბადებული რასიმ მ., 1990 წელს დაბადებული ნამირ ი., 1986 წელს დაბადებული ასიფ ხ., 1990 წელს დაბადებული სადრადინ დ., 1962 წელს დაბადებული ჯაბირ ა., 1979 წელს დაბადებული თემურ გ., 1981 წელს დაბადებული აიატ გ., 1964 წელს დაბადებული კარახან გ. და 1978 წელს დაბადებული მეხრალი შ.

დაკავებულებიდან 9 პირი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. 13-ვე პირის დაკავება მათ საცხოვრებელ სახლებში მოხდა. სამართალდამცველებმა ჩხრეკისას მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, სანადირო თოფი, ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა" და ფსიქოტროპული აბები ამოიღეს. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე. წ. „კანონიერი ქურდების" გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. კერძოდ, 8-კაციანი დაჯგუფება კონკრეტულ დავალებებს იღებდა და ასრულებდა რუსეთში მცხოვრები ერთ-ერთი ე.წ. „კანონიერი ქურდისგან", ხოლო მეორე 5-კაციან დაჯგუფებას მართავდა ე.წ. „კანონიერი ქურდი" ნადირ სალიფოვი, მეტსახელად „გულუ", რომელიც აზერბაიჯანის საპყრობილეში იხდის სასჯელს. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით).

პაკისტანში საჰაერო იერიშს 6 შეიარაღებული მებრძოლი ემსხვერპლა

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, პაკისტანში ამერიკული უპილოტო თვითმფრინავებიდან განხორციელებულ საჰაერო იერიშს, სულ მცირე, ექვსი შეიარაღებული მებრძოლი ემსხვერპლა. შემთხვევა, „ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ჩრდილოეთ ვაზირისტანში მოხდა, რომელიც ავღანეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს.

ადრე პაკისტანმა არაერთხელ მოსთხოვა ამერიკას ამ ქვეყნის ტერიტორიაზე საჰაერო იერიშების შეწყვეტა, რომელსაც ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნევენ. ამერიკაში კი უპილოტო საფრენი აპარატიდან განხორციელებულ იერიშებს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ გზად ახასიათებენ.

ევროკავშირისა და ირანის მორიგი შეხვედრა სექტემბრის ბოლოს გაიმართება

პარასკევს ცნობილი გახდა, რომ საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი ირანთან ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, ნიუ-იორკში, სექტემბრის ბოლოს გამართავს. მოლაპარაკებებში ირანის მხრიდან ქვეყნის დიპლომატიური უწყების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

ეგვიპტის პრემიერმა მუსულმანი ძმების" დაშლის შესახებ ინფორმაცია უარყო

ეგვიპტის ხელისუფლებამ ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაცია უარყო, რომელიც მოძრაობა მუსულმანი ძმების" დათხოვნას ეხებოდა.

პრემიერ-მინისტრის აპარატის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ. თუმცა, ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოძრაობას არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსი უნდა ჩამოერთვას. ეს ორგანიზაცია 1928 წლიდან მოყოლებული მოქმედებს, რომელიც ეგვიპტის არმიამ 1954 წელს აკრძალა. ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაციამ რამდენჯერმე შეიცვალა სტატუსი და ფორმა.

როგორც ცნობილია, ეს მოძრაობა მოჰმედ მურსის პრეზიდენტად დაბრუნებას მოითხოვს, რომელიც ქვეყნის არმიამ 3 ივლისს გადააყენა. მას შემდეგ ქვეყანაში მურსის მხარდამჭერების გამოსვლები არ აცხრება. მურსის მხარდამჭერებსა და უსაფრთხოების ძალებს შორის არსებულ დაპირისპირებას, არსებული ინფორმაციით, ათას ადამიანზე მეტი ემსხვერპლა.

მოსკოვი კვირას მერს ირჩევს

8 სექტემბერს მოსკოვის მერის არჩევნები გაიმართება. პარასკევს კი აგიტაციის ბოლო დღეს, მერობის კანდიდატებმა რამდენიმე მასშტაბური აქცია გამართეს.

პარასკევს „საინტერესო" განცხადება გააკეთა მერობის ერთ-ერთი კანდიდატის სერგეი სობიანინის შტაბის უფროსმა. ლიუდმილა შვეცოვას თქმით, გამარჯვების შემთხვევაში სობიანინამ მის მეტოქე ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნის, შესაძლოა, მის გუნდში მუშაობა შესთავაზოს.

პარასკევს სობიანინის მხარდამჭერი ყველაზე მრავალრიცხოვანი აქცია სპორტკომპლექს „ოლიმპიაში" გაიმართა.

სომხეთის არმია ნახიჭევანთან ახლოს მასშტაბურ წვრთნებს ატარებს

სომხეთის არმია ნახიჭევანის საზღვართან ახლოს ფართომასშტაბიან ტაქტიკურ წვრთნებს ატარებს, რომელსაც ქვეყნის შეიარღებული ძალების გენშტაბის ხელმძღვანელი გენერალი იური ხაჩატორუვი უდგას სათავეში. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ ქვეეყნის თავდაცვის უწყების პრესსამსახურმა გაავრცელა.

„ეხო კავკაზას" ცნობით, იმ ადგილზე, სადაც წვრთნები ტარდება, ქვეყნის თავდაცვის მინისტრი სეირან ოგანიანიც მივიდა.

ესპანეთის ავარია: მემანქანის საუბრის ახალი ჩანაწერი გამოქვეყნდა

24 ივლისს ჩრდილოეთ ესპანეთში მატარებლის ავარიის შედეგად 79 მგზავრი გარდაიცვალა. ცოტა ხნის წინ ესპანურ მედიასაშუალებებში მემანქანის სატელეფონო საუბარი გამოქვეყნდა, რომელიც კატასტროფას ცოცხალი გადაურჩა.

როდესაც ფრანსისკო ხოსე გარსონმა მადრიდის ცენტრალურ ვაგზლის პულტს დააჭირა ხელი, ის კაბინაში იყო ჩაკეტილი. ჩანაწერში მემანქანე კოლეგას უყვება, რომ მატარებელი 190კმ/სთ-ში მოძრაობდა, რაც დაშვებულ სიჩქარეს ბევრად აღემატება:"სავარუდოდ, ბევრი დაშავებულები იქნება, მატარებელი გადაბრუნდა, მე კაბინიდან ვერ გამოვდივარ. საცოდავი მგზავრები, იმედია არავინ დაღუპულა. უნდა მევლო 80 კმ/სთ-ში, თუმცა 190 კმ/სთ-ში მივდიოდი. მე ადრე უსაფრთხოების ხალხს ველაპარაკე, რომ ეს საშიში მოსახვევია და მსგავსი რამ შესაძლო როდისმე მომხდარიყო."-საუბარია გაზეთ El Pais-ს მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერში.

ამ დროისათვის მემანქანისა და კომპანია Renfe-ს მისამართით გამოძიება მიმდინარეობს. გამოძიებამ, სხვა საკითებთად ერთად, უნდა დაადგინოს რატომ არ მოქმედებდა იმ მოსახვევში, სადაც ავარია მოხდა, ავტომატური მუხრუჭის სისტემა. ავარიის შემდეგ, ამ მოსახვევში უსაფრთხოების მექანიზმი დააყენეს.

მოამზადა თამთა კახაძემ

„დიდი ოცეული" და სირია

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ მომავალ კვირაში ამერიკის კონგრესში, სირიაში ამერიკის მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ, ხმის მიცემა გაიმართება. როგორც „როიტერი" წერს, სამიტზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და რამდენიმე სხვა ლიდერი ერთხმად ცდილობდნენ გადაერწმუნებინათ ობამა, რათა ამერიკამ სირიაზე დარტყმა არ დაუშვას. როგორც ზოგიერთ ლიდერი აღნიშნავდა, სირიაზე შესაძლო დარტყმა გლობალურ ეკონომიას დააზარალებს და ნავთობზე ფასების ზრდას გამოიწვევს.

თუმცა, გასაკვირი არც არის, რომ „დიდი ოცეულის" სამიტის შემდეგაც ყველა ქვეყანა იმ აზრზეა სირიის კრიზისთან მიმართებაში, რომელზეც სამიტამდე იყო. სამიტის პირველ დღეს გამართული სადილის შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტმა ნათლად აღნიშნა, რომ არც ჰქონდა დიდი იმედი, რომ რუსეთი პოზიციას შეიცვლიდა. ცნობისათვის, სხვა ლიდერებისაგან განსხვავებით, ობამა წინასწარ დაგეგმილ ღონისძიებაზე ერთი საათით გვიან მივიდა და მონაწილეობა არ მიუღია პეტერგოფის პარკში გასეირნებაში, რომელიც სამიტის სხვა მონაწილეების ვლადიმერ პუტინმა მოუწყო.

სადილამდე გამართულ პრესკონფერენციაზე პუტინის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა რუსეთის დამოკიდებულება სირიის საკითხთან დაკავშირებით:"ჩვენ არ შეგვიძლია დამამტკიცებელ საბუთად მივიღოთ ის, რაც დამამტკიცებელ საბუთს არ წარმოადგენს."-აღნიშნა პესკოვმა, რომელსაც დასავლეთის ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების მიერ წარმოდგენლი დოკუმენტები ჰქონდა მხედველობაში, რომლებიც 21 აგვისტოს დამასკოსთან ახლოს ასადის ძალების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას ამტკიცებს.

შეგახსენებთ, რომ სირიის ოპოზიციის მტკიცებით, დამასკოსთან ახლოს ქიმიური იარაღის გამოყენებას 1429 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ბავშვები და ქალები. ამის შემდეგ ამერიკამ, რომელიც დარწმუნებულია, რომ ზარინის გაზი სამთავრობო ძალებმა გამოიყენეს, სირიაში სამხედრო ოპერაციაზე დაიწყო ფიქრი. აღნიშნულს კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთი. ამ ეტაპზე რუსეთი მოითხოვს, რომ დაელოდონ გაეროს ექსპერტების დასკვნას, რომელიც 2-3 კვირაში გახდება ცნობილი. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, დასკვნის შედეგად ის გახდება ცნობილი, მოხდა თუ არა ქიმიური აირაღის გამოყენება და არა ის ვინ დგას ამის უკან.

ამასთან, სანქტ-პეტერბურგში „ბი-ბი-სი"-სათვის მიცემულ ინტერვიუში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა, რომელიც, ცხადია, სამიტს ესწრებოდა, განაცხადა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებას დამასკოსთან ახლოს ზარინის გაზის გამოყენების ახალი დამამტკიცებელი საბუთები გაჩნია. მისი თქმით, ბრიტანელმა ექსპერტებმა ზარინი იმ ფეხსაცმელზე აღმოაჩინეს, რომლებიც დამასკოდან წამოიღეს. მისი თქმით, თუ ამერიკა სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით არაფერს მოიმოქმედებს, ეს ბაშარ ალ-ასადისათვი საშიში ნიშანი იქნება. როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთი სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყების შემთხვევაში მონაწილეობას ვერ მიიღებს- ქვეყნის პარლამენტმა აღნიშნულის წინააღმდეგ მისცა ხმა. დიდი ბრიტანეთისაგან განსხვავებით, საფრანგეთი სამხედრო ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით ამერიკის გადაწყვეტილებას ელოდება.

სირიის საკითხს „დიდი ოცეულის" სამიტის მეორე დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროსაც განიხილავდნენ. ამ შეხვედრაზე დასასწრებად სპეციალურად ჩაფრინდა სირიაში გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელი ლაჰდარ ბრაჰიმი.

სირიის საკითხზე რუსეთის პოზიციასთან დაკავშირებით მკაცრი განცხადება, ცოტა ხნის წინ, გაეროში ამერიკის მუდმივმა წარმომადგენელმა სამანტა პაუერმა გააკეთა. მისი თქმით:"რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მძევლად აყვანას აგრძლებს. რაც ჩვენ, რაც სირიელმა ხალხმა იცის არის ის, რომ უსაფრთხოების საბჭო, რომელიც მსოფლიოს კრიზისების გადასაჭრელად სჭირდება, არ არის ის უსაფრთხოების საბჭო, რომელიც ახლა გვაქვს. „-აღნიშნა დიპლომატმა.

გაეროს მონაცემებით, სირიელ ლტოლვილთა რაოდენობამ 2 მილიონს გადააჭარბა. მძიმე ვითარებაა შექმნილი სირიის მეზობელ იმ ქვეყნებში, სადაც ლტოვილები აფარებენ თავს. პარასკევს ორგანიზაციამ გამოაცხადა, რომ ლტოლვილებთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად დაახლოებით 3,5 მილიარდი დოლარია საჭირო.

ხუთშაბათს ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ ამერიკა გააფრთხილა, რომ სირიაზე დარტყმის შემთხვევაში თავად დარჩება დამარცხებული. ცოტა ხნის წინ კი Wall Street Journal-ს, სავარაუდოდ, ერაყელი დაჯგუფებების მისამართით ირანიდან გაცემული ბრძანება ჩაუვარდა ხელში, სადაც საუბარია, რომ სირიაზე დარტყმის შემთხვევაში ბაღდადში ამერიკის საელჩოსა და სხვა ობიექტებზე მოხდეს თავდასხმა. ამას გარდა, სირიაზე დარტყმის შემთხვევაში რადიკალური დაჯგუფება „ჰეზბოლა", სავარაუდოდ, ბეირუთში ამერიკის საელჩოს დაესხმება თავს. არსებული ინფორმაციით, ლიბანს ამერიკელი დიპლომატების უმრავლესობა ტოვებს.

როგორც ამერიკული გამოცემები წერენ, ცოტა ხნის ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პენტაგონს სირიაში პოტენციური სამიზნეების სიის გაფართოება მოსთხოვა. ადრე სირიის ტერიტორიაზე პოტენციური სამიზნეების 50 ობიექტისაგან შემდგარი სია ამერიკას საფრანგეთმა მოუმზადა. ამასთან, ამერიკის ადმინისტრაცია სირიაზე დარტყმის დროს ამერიკული და ფრანგული თვითმფრინავების გამოყენებაზე პირველად ალაპარაკდა. ადრე, სირიაზე დასარტყმელად მხოლოდ ხმელთაშუა ზღვაში მდებარე Tomahawk(ტომაჰავკი)-ის ფრთოსანი რაკეტების გაშვებაზე იყო საუბარი. ამასთან, როგორც ირკვევა იერიშის სამიზნე არა უშუალოდ ქიმიური იარაღის საწყობები იქნება, არამედ ასადის ჯარის ის ნაწილი, რომელიც ქიმიური იარაღის მომზადებით და დაცვით არის დაკავებული; ასევე, სავარაუდოდ, დარტყმა განხორციელდება სარდლობის შტაბბინაზეც.

პარასკევს ვილნიუსში ევროკავშირის თავდაცვის მინისტრების შეხვედრა გაიმართა, სადაც მინისტრებმა სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება აღიარეს და დაგმეს. აღნიშნულის შესახებ ლატვიის თავდაცვის მინისტრმა იუოზას ოლეკასმა განაცხადა:"ქიმიური იარაღის გამოყენებას ყველა ქვეყანა გმობს და თვლიან, რომ ამის უკან მდგარმა პირებმა პასუხი უნდა აგონ."-აღნიშნავს მინისტრი.

როგორც „როიტერისათვის" გახდა ცნობილი, სენატორები ამერიკის მიერ სირიაზე დარტყმასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას 11 სექტემბერს მიიღებენ. როგორც „ნიუ-იორკ თაიმსი" წერს, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სირიაში შესაძლო დარტყმასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ერს მიმართოს.

სნოუდენმა ახალი საიდუმლო ინფორმაცია გამოაქვეყნა

თამთა კახაძე

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ამერიკისა და ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურების ახალი „საიდუმლოებები" გამომაჟღავნა.

მისი ინფორმაციით, ამერიკულ და ბრიტანულ სპეცსამსახურებს შეუძლიათ ინტერნეტში ინფორმაციის დაცვის პროტოკოლების გატეხვა, რომლებიც ელექტრონული წერილების, საბანკო და სამედიცინო მონაცემების კონფიდენციალურობას უზრუნველყოფს. ამის შესახებ, ტრადიციულად სნოუდენმა ისეთ გამოცემებს მიაწოდა ინფორმაცია, როგორებიც არის „გარდიანი" და „ნიუ-იორკ თაიმსი."

როგორც ირკვევა, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო და ბრიტანეთის სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრი ინფორმაციის დაცვის ყველაზე ცნობილ და საიმედო პროტოკოლებს ტეხდნენ. როგორც დოკუმენტშია მითითებული, სადაზვერვო სამსახურები ისეთი „დიდი ოთხეულში" შეღწევაზე მუშაობენ, როგორებიც არის Yahoo, Facebook, Hotmail და Google. ამასთან, როგორც ცნობილი გახდა, ბრიტანეთის დაზვერვა Google-ს სისტემაში შესაღწევად „ახალ მეთოდებს ამუშავებდა."

არსებული ინფორმაციით, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ამ საიდუმლო პროგრამაზე წელიწადში 250 მილიონ დოლარს ხარჯავდა. როგორც ირკვევა, სადაზვერვო სამსახურები განსაკუთრებულ ყურადღებას იმ კოდებს უთმობდნენ, რომელსაც 4G ტექნოლოგიებში გამოიყენებენ. „გარდიანი" წერს, რომ სადაზვერვო სამსახურების ეს შესაძლებლობა ძლიერად იყო დაცული, რათა ინფორმაციას არ გაეჟონა.

საკუთარი მიზნების მისაღწევად ამერიკის ეროვნული უსაფრთხოები სააგენტო ე.წ Bullrun-ის პროგრამის ფარგლებში მაღალი კვალიფიკაციის ჰაკერებსა და დიდი სიძლიერის კომპიუტერებს იყენებდა, რის შედეგადაც გატეხვა მაშინ იწყებოდა, როდესაც ინტერნეტმომხმარებელი ქსელში შედიოდა, სხვადასხვა მომსახურების მისაღებად. ამასთან, ამერიკელები სხვადასხვა ტექნოლოგიურ კომპანიებთან(მათ დასახელებები უცნობია) თანამშრომლობდნენ.

ამერიკამ ამ პროგრამაში 2000 წლიდან მოყოლებული მილიარდობით დოლარი ჩადო. თავად, ეროვნული უსაფრთხოების სააგენეტოს წარმომადგენლებმა ადრეც განაცხადეს, რომ სხვადასხვა გზავნილების ხელში ჩაგდება მათ ტერორისტებისა და იმ ჯაშუშების წინააღმდეგ ბრძოლაში სჭირდებოდათ, რომლებიც ამერიკის უსფრთხოებას უქმნიან საფრთხეს.

თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამ ქმედებებმა, შესაძლოა, პირიქით ავნოს ქვეყნის უსაფრთხოებას, ვინაიდან ე.წ „უკანა კარით" შესაძლოა, იმ პირებმა ისარგებლონ, რომლებიც სამთავრობო დაწესებულებებში არ მსახურობენ.

როგორც „ნიუ-იორკ თაიმსი" წერს, მათთან ამერიკის სადაზვერვო სამსახურების წარმომადგენლები მივიდნენ და ამ ინფორმაციის გამოქვეყნებისაგან თავის შეკავება სთხოვეს. გაზეთი აღნიშნავს, რომ თხოვნის მიუხედვად ეს ინფორმაცია მაინც გამოაქვეყნეს, თუმცა აქ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ქმედებების კონტკრეტული ფაქტები არ შეიტანეს.

შეგახსენებთ, რომ ედვარდ სნოუდენს აგვისტოში რუსეთმა დროებითი თავშესაფარი მიანიჭა. მანამდე ის მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში იმყოფებოდა. ერთ-ერთი ინფორმაციით, შერემეტიევოს აეროპორტიდან იგი კუბაში უნდა გაფრენილიყო, თუმცა ბოლო მომენტში მას უარი უთხრეს, რის შემდეგაც იგი სატრანზიტო ზონაში ჩარჩა. როგორც აღნიშნავენ, სწორედ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის გამო ჩაიშალა ამერიკის პრეზიდენტისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა, რომელიც „დიდი ოცეულის" სამიტის ფარგლებში იგეგმებოდა.

UNFORGETTABLE ჯაზფესტივალის მოლოდინში

ავიშაი კოენი

პირველი გვერდიდან

ნატალი კოლის მსმენელისთვის გაცნობა ალბათ დროის ტყუილად ხარჯვაა, რადგან შეუძლებელია ვინმეს მისი თუნდაც შესავალში ნახსენები სიმღერა არ ჰქონდეს მოსმენილი, უფრო დაინტერესებულებმა კი მისი ისტორიაც იციან: Unforgettable ივინგ გორდონის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომპოზიცია გახლავთ, რომელიც მსმენელმა პირველად 1951 წელს, სწორედ ნატ კინგ კოლის შესრულებით მოისმინა, ზუსტად 40 წლის შემდეგ კი მისმა ქალიშვილმა სიმღერა გარდაცვლილ მამასთან ერთად „ჩაწერა“. ამ ჩანაწერმა მომდევნო წელს ერთბაშად სამი „გრემი“ მოიპოვა, ნატალი კოლი კი მსოფლიო ვარსკვლავად იქცა, რომელსაც უკვე აღარ მოიხსენიებდნენ, როგორც მხოლოდ დიდი ნატ კინგის შვილს.

თუმცა ის მაინც კოლია და, როგორც დიდი მშობლების შვილების შემთხვევაში ხდება ხოლმე, მისი მომავალი პრაქტიკულად დაბადებისთანავე იყო განსაზღვრული. ნატალი ბავშობიდან მღეროდა, თუმცა ამ საქმით სერიოზულად მხოლოდ 20 წლის ასაკში დაკავდა. თავიდან მხოლოდ სიმღერებს წერდა, პროფესიონალურად უკრავდა ფორტეპიანოზე, 70-იანების შუა წლებში კი ჩაკ ჯეკსონთან და მარვინ იენსისთან ერთად ტრიო ჩამოაყალიბა და სტუდიურ მუშაობასაც შეუდგა. პირველი სერიოზული აღიარება ნატალი კოლს 1975 წელს, კომპოზიცია This Will Be-ს შესრულების შემდეგ ეწვია, მომდევნო წელს კი პირველი „გრემი“ მიიღო როგორც R&B-ს საუკეთესო შემსრულებლებმა. მთლიანობაში ნატალი კოლს „გრემის“ 19 ნომინაცია და 9 ჯილდო აქვს.

Caroling, Caroling: Christmas with Natalie Cole მუსიკოსის 2008 წლის ალბომია, რომლის გამოშვების შემდეგაც მომღერალმა კარიერაში ხანგრძლივი პაუზა აიღო. პაუზა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გამოიწვია, რაც ამჟამად აღმოფხვრილია, მეტიც, ავადმყოფობამ ნატალი კოლს ახალი ალბომის ჩაწერის ბიძგიც მისცა. ეს ესპანურენოვანი En Espanol-ია, რომელიც Besame Mucho-დან დაწყებული, Amapola-თი დამთავრებული პრაქტიკულად ყველა საუკეთესო ესპანურენოვან ჰიტებს აერთიანებს.

საინტერესოა ალბომის ჩაწერის ისტორიაც: იგი ნატალი კოლის თირკმლის დონორ ლათინოამერიკელ ქალბატონს ეძღვნება. ოდესღაც ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გამო მუსიკოსი წლების განმავლობაში იყო დაავადებული ცე ჰეპატიტით. მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, თუმცა 2009 წელს გამოჩნდა მშობიარობისას გარდაცვლილი დონორი, რომელმაც ნატალი კოლს არა მხოლოდ სიცოცხლის გაგრძელების, არამედ სცენაზე დაბრუნების შესაძლებლობაც მისცა. „არასდროს მჯეროდა დამთხვევების, მაგრამ ახლა ზუსტად ვიცი, რომ ტყუილად არაფერი ხდება. ის ფაქტი, რომ ჩემი დონორი ესპანურენოვანი ქალბატონი იყო, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა თავს სანახევროდ ლათინოამერიკელად მივიჩნევ, ამ გრძნობამ კი ესპანურ ენაზე ამამღერა, მიუხედავად იმისა, რომ ესპანურს საერთოდ არ ვფლობ“, - ამბობს ინტერვიუში ნატალი კოლი.

აღსანიშნავია, რომ ესპანურენოვანი ალბომები მის მამასაც ჰქონდა ჩაწერილი: 1958 წლის Cole Espanol, მომდევნო წელს გამოშვებული A Mis Amigos და 1962 წლის More Cole Espanol. ამრიგად, ნატალი კოლის ახალი ალბომი მამისადმი ძღვნადაც შეგვიძლია განვიხილოთ. ამ ალბომში შემავალ კომპოზიციებს ნატალი კოლის სხვა ჰიტებთან ერთად თბილისის კონცერტზეც მოვუსმენთ.

■ ■ ■

თბილისის ჯაზფესტივალს 28 ოქტომბერს ჩვენი მსმენელისთვის კარგად ნაცნობი მარკუს მილერი გახსნის. ეს გენიალური ბასისტი პირველად 2008 წლის ბათუმის ჯაზფესტივალზე გვესტუმრა, 2009 წელს კი თბილისის ფესტივალზე პროქტი Tutu Revisited music of Miles Davis ჩამოგვიტანა. ამჯერად მარკუს მილერი The Renaissance Tour-ის ფარგლებში ჩამოდის, თან კი ჩვენთვის ასევე კარგად ცნობილი საქსოფონისტი ალექს ჰანი ჩამოჰყავს. ბენდში ასევე შედიან: მესაყვირე ლი ჰოგანსი, გიტარისტი ადამ აგატი, პიანისტი ბრეტ უილიამსი და დრამერი რობერტ Sput სირაიტი.

29 ოქტომბერს კონტრაბასისტ ავიშაი კოენის კონცერტს დავესწრებით, რომელიც ასევე საკუთარ ბენდთან ერათად ჩამოდის პიანისტ ნათაი ჰერშკოვიცის, დრამერ ოფრი ნეჰემიას, ჩელისტ იაელ შაპირას, ჰობოისტ იოჰამ ლაჩიშისა და სამი მევიოლინეს შემადგენლობით. ამ კონცერტის გამოტოვებას არ გირჩევთ, რადგან პირველად ჩვენი ჯაზფესტივალების ისტორიაში საორკესტრო მუსიკასთან შერწყმული ჯაზის მოსმენის საშუალება გვექნება. ავიშაი კოენი თბილისში საქართველოში ისრაელის საელჩოს ხელშეწყობით ჩამოდის.

მომდევნო დღეს ივენთ ჰოლში შავი ზღვის ჯაზფესტივალის სტუმრებისთვის კარგად ნაცნობი DJ Logic-ისა და ბენდის კონცერტია დაგეგმილი, თუმცა ამ მუსიკოსს 28 და 29 ოქტომბერსაც მოვუსმენთ: მარკუს მილერის კონცერტის შემდეგ ივენთ ჰოლში ჯორჯ დუკისადმი მიძღვნილ საღამოს ჩაატარებს, ხოლო ავიშაი კოენის კონცერტის დამთავრების შემდეგ ამავე სივრცეში მაილს დევისის ტრიბუტი გველის.

■ ■ ■

თბილისის ჯაზფესტივალზე დასასწრები ბილეთებისა და აბონემენტების შეძენა უკვე შეგიძლიათ თბილისის საკონცერტო დარბაზის სალაროებსა და საიტზე biletebi.ge. ბილეთების ფასი 20-დან 150 ლარამდეა, მაგალითად, მილერის კონცერტს შეგიძლიათ 30-50 ან 70 ლარიანი ბილეთებით დაესწროთ, ხოლო ნატალი კოლის მოსმენას 60-90 და 150 ლარიანი ბილეთებით შეძლებთ. ასევე იყიდება 300 ლარიანი აბონემენტიც. მოქმედებს ცალკეულ ბილეთებზე ფასდაკლების სისტემაც: TBC Platinum-ის, TBC PrimeCard-ისა და TBC Status-ის მფლობელებისთვის 15-20%-იანი ფასდაკლებაა.

თბილისის ჯაზფესტივალის გენერალური სპონსორია TBC Status, მხარდამჭერი - თბილისის მერია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი მეორედ მოხსნეს

პირველი გვერდიდან

„ბორდის სხდომის გახსნისთანავე კამერების წინ გავაკეთე განცხადება, თუ როგორ დამხვდა ჩემს კაბინეტში ე.წ ოდეერი, რომელიც თავისი უფროსების სახელით შემპირდა ყველაფერს, მათ შორის მინისტრობას, მომავალი ბორდის თავმჯდომარეობას, ოღონდ მე გადაწყვეტილება შემეცვალა. ისიც არ ვიცი, საიდან იცოდა მან ჩემი გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ. ეს ოდეერი გახლავთ ირაკლი ციბაძე, რომელსაც არ ვიცოდი, თუ ამ უწყებაში ეს ფუნქციაც ჰქონდა“ , - განაცხადა ემზარ გოგუაძემ.

იგი დარწმუნებულია, რომ ირაკლი ციბაძისთვის ყოველივე ეს უფროსებს არ დაუვალებიათ.

„დარწმუნებული ვარ, რომ უშიშროების სამსახური არ არის ისეთი მოუმზადებელი, რომ მსგავსი არასწორი ნაბიჯები გადადგას. მე, როგორც ძველ დისიდენტს, 80-იან წლებშიც კი არ მიხილავს ასეთი უტაქტო რამ“, - განაცხადა ემზარ გოგუაძემ.

მისი თქმით, ირაკლი ციბაძე მაუწყებელში მუშაობს. **„არის ცნობა, რომ ის აქ მობრძანდება, შტატში არ არის, თუმცა სამეურვეო საბჭოზე განპირობებული მანქანით დაბრძანდება“**, - განაცხადა ემზარ გოგუაძემ.

გიორგი ბარათაშვილი კი ბორდის გადაწყვეტილებას პოლიტიკური მოტივით ხსნის და აღნიშნულს „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთას უკავშირებს.

მისი თქმით, ბორდის არსებული შემადგენლობა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არის დაკომპლექტებული.

„ჩვენ ახალ ეთერს ვიწყებდით. რამდენად გონივრულია ახალი ეთერის და არჩევნების წინ ბორდის მხრიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება, არ ვიცი. ასეთი გადაწყვეტილებები წინასაარჩევნოდ ტყუილად არ ხდება. ამაში ვხედავ პოლიტიკურ მხარეს. პოლიტიკურ ძალაში ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას“, რადგან ბორდი დაკომპლექტებულია სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ“, - განაცხადა ბარათაშვილმა.

ბარათაშვილი კომენტარს ირაკლი ციბაძესთან დაკავშირებითაც აკეთებს და ამბობს, რომ ის მაუწყებლის გენერალური დირექტორის მრჩეველია უსაფრთხოების საკითხებში, თუმცა ციბაძე ტელევიზიაში მას არ მიუყვანია.

„ეს ადამიანი, მე რომ დავბრუნდი, უკვე მუშაობდა ტელევიზიაში და ის არ არის ჩემი მოყვანილი“, - აცხადებს ბარათაშვილი.

ბორდის გადაწყვეტილებას „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირით ხსნის საპარლამენტო უმრავლესობაც.

„ქართული ოცნების“ წევრის ელისო ჩაფიძის განცხადებით, ბარათაშვილის გათავისუფლებით, ნათელი გახდა, რომ ბორდის წევრები იბრძვიან **„ერთი კონკრეტული პარტიის გავლენის დაბრუნებისთვის საზოგადოებრივ მაუწყებელზე.“**

რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობას, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი სერგო რატიანი საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს პოლიტიკურად მართულს უწოდებს და ამბობს, რომ ამ საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტროცაა ჩართული.

„ბორდი მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ათავისუფლებს დირექტორს იმ ფინასური პრობლემების გამო, რომელიც მაუწყებელშია. ბორდის თავმჯდომარეზე კი შსს ზეწოლას ახორციელებს. ამით ცდილობენ, დაფარონ ის ფინანსური პრობლემები, რომელიც არხს გააჩნია. მიმდინარე პროცესებზე აუცილებელია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გააკეთოს“, - განაცხადა რატიანმა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საინიციატივო ჯგუფის განცხადებით, **„არხის გენერალური დირექტორი რომელიმე პოლიტიკური ძალის კაბინეტში არ უნდა აირჩეს“.**

საინიციატივო ჯგუფის წევრი დოდო შონავა გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გადაყენებას, კრიზისის გაღრმავების მცდელობად მიიჩნევს.

„საინიციატივო ჯგუფის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ მოვითხოვთ კანონის ფარგლებში გამოცხადდეს კონკურსი. კონკურსში საზოგადოება მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული და ის გამჭვირვალე უნდა იყოს. ჩემი აზრით, უპრიანი იქნებოდა, ახალი გენერალური დირექტორი მომავალ წელს ახალდარჩეულ ბორდს აერჩია, მას შემდეგ, რაც მაუწყებლის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები ძალაში შევიდოდა, მაგრამ რადგან ასეთი რეალობა დადგა, ჩვენ მივიჩნევთ, რომ კონკურსი კანონით გათვალისწინებული გზით უნდა გამოცხადდეს, იყოს გამჭვირვალე და მომავალი დირექტორი არა რომელიმე პოლიტიკური ძალის კაბინეტში, არამედ იმ მოთხოვნების გათვალიწისნებით უნდა აირჩეს, რასაც კანონმდებლობა, საზოგადოება და სახელმწიფო ინტერესები საზოგადოებრივი მაუწყებლისგან ითხოვს, რათა ბოლოსდაბოლოს დადგეს სტაბილურობა და შემოქმედებით კოლექტივს ნორმალური მუშაობის საშუალება მიეცეს“, - განაცხადა შონავამ.

„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს“ წევრის ზვიად ქორიძის აზრით, „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ხისტი გადაწყვეტილება, წინასაარჩევნო პერიოდში ტელევიზიის სარედაქციო დამოუკიდებლობაზე იმოქმედებს“.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ხდება არჩევნებამდე თვენახევრით ადრე და დარწმუნებული ვარ, სამეურვეო საბჭოს ეს ხისტი გადაწყვეტილება წინასაარჩევნო პერიოდში იმოქმედებს თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაზე,“ - აცხადებს ზვიად ქორიძე.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორისთვის არჩევნებამდე 50 დღით ადრე, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის გათავისუფლება მოულოდნელი იყო. თამარ რუხაძე ფიქრობს, რომ სამეურვეო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორი დასაბუთებულიც არ უნდა იყოს ის, წინასაარჩევნო პერიოდში მაინც ორმაგ არგუმენტს მოითხოვს.

„საფუძვლიან ეჭვებს იწვევს, თუ რატომ და რა მიზნით ხდება ეს ცვლილებები საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით. შესაძლოა, ასეთმა გადაწყვეტილებამ იმოქმედოს არჩევნებზე, საარჩევნო კამპანიის გაშუქებაზე და სარედაქციო პოლიტიკაზე. საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოების ამოცანა უნდა იყოს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი დამოუკიდებელი იყოს ყველანაირი პოლიტიკური გავლენისგან, განურჩევლად იმისა, თუ რომელი პოლიტიკური მხრიდან შეიძლება იყოს პროცესები მართული. რა თქმა უნდა, დღეს მიღებული გადაწყვეტილება ტელევიზიის მაუწყებლობას ხელს შეუშლის. საჭირო იქნება პროექტების გადახედვა და სხვა ცვლილებები,“- ამბობს თამარ რუხაძე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის თავმჯდომარეს კი პარლამენტში განმარტებისთვის იბარებენ. განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ელისო ჩაფიძე წერილობითი მიმართვით ითხოვს, დაუყოვნებლივ, წერილობით მოეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ბორდის მიერ 2013 წლის 6 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობისა და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პრიორიტეტების შესრულების კონკრეტული ხედვის თაობაზე.

„საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე მოვლენები აშკარად ცხადყოფს, რომ საფრთხის წინაშე დგას საზოგადოებრივი მაუწყებლის უმაღლესი მმართველი ორგანოს მიერ დამტკიცებული პროგრამული პრიორიტეტების შესრულების საკითხი. პროგრამული პრიორიტეტების შესრულების აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ დგას წინასაარჩევნოდ უკვე დაწყებული კამპანიის პერიოდში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტისა და“მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, დაუყოვნებლივ, წერილობით მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაციათქვენს მიერ 2013 წლის 6 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობისა და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პრიორიტეტების შესრულების კონკრეტული ხედვის თაობაზე. აგრეთვე, დაესწროთ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის უახლოეს სხდომას, რომლის თარიღს დამატებით შეგატყობინებთ,“ - აღნიშნულია ელისო ჩაფიძის წერილობით მიმართვაში.

„ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაცია“ და სტუდენტების ნაწილი კი შვიდი სექტემბრიდან საზოგადოებრივ მაუწყებელთან ბორდის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციებს იწყებს.

როგორც „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა ნიკა მემანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, დღეს ბორდმა გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის გადაყენებით პოლიტიკურად ანგაჟირებული გადაწყვეტილება მიიღო. მისივე თქმით, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ უშუალო დაკვეთა, რისი შესრულებაც ბორდის მხრიდან დიდი შეცდომა იყო.

მემანიშვილის ინფორმაციით, ხვალიდან უფლებადამცველთა და სტუდენტთა დიდი ნაწილი საზოგადოებრივ მაუწყებელთან საპროტესტო აქციებს დაიწყებს და სირცხვილის დერეფნებს მოაწყობს.

რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს თამაზ ტყემალაძეს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ის ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის საავტორო ტოკშოუების დახურვას არ აპირებს.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ტყემალაძე პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ სატელევიზიო სეზონში მაყურებელი იხილავს მრავალფეროვან თოქ-შოუებს. არ დაიხურება არც ერთი ძველი პროექტი. ისინი ეთერში გავა განახლებული სახით. მეტიც, საეთერო ბადეში გათვალისწინებულია ახალი თოქ-შოუები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს წინასაარჩევნო პერიოდში,“ - წერია განცხადებაში

თუმცა თამაზ ტყემალაძე საპირისპიროს ამბობს „პირველ რადიოსთან“ ინტერვიუში.

„მე რომ აქ მოვედი, პირველსავე დღეს განვაცხადე, რომ... აი, ასეთი მიკერძოებული გამოსვლები კვესიტაძის და პაიჭაძის არ იყო ჩემგან მოსათმენი. კვესიტაძესთან დაკავშირებით გეტყვით - აღარ იქნება; პაიჭაძეს დარჩება ადგილი რადიოში, მაგრამ მისი გადაცემები არ იქნება პოლიტიკურად მომართული, ერთი სიტყვით, რასაც ისინი ეთერში გადასცემენ, წინასწარ ჩვენ გვეცოდინება - სალაპარაკო თემაც და გამომსვლელიც,“ - აცხადებს ტყემალაძე „პირველ რადიოსთან“ ინტერვიუში.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„ს.ს.ი.პ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა აცხადებს საჯარო აუქციონს ქონების იჯარით გაცემაზე.

ლოტი№1–64 კვ.მ. დარბაზი, I სართ.	ვადა 09 თვე	საწყისი თანხა 126 ლარი	ბე–42 ლარი ბიჯი–05 ლარი	მონაწილის ბი- ლეთი 10 ლარი	პირობა–მოსწავლეთა ქორეოგრაფიული წრის მუშაობა
ლოტი №2–30 კვ.მ. ფართი, I სართ.	ვადა 09 თვე	საწყისი თანხა 567 ლარი	ბე–189 ლარი ბიჯი–05 ლარი	მონაწილის ბი- ლეთი 10 ლარი	პირობა–სასადილოს მოწყობა
ლოტი №3–20.4 კვმ. ფართი, III სართ.	ვადა 09 თვე	საწყისი თანხა 45 ლარი	ბე–15 ლარი ბიჯი–05 ლარი	მონაწილის ბი- ლეთი 10 ლარი	პირობა –მოსწავლეთა შემოქმედებითი წრის მუშაობა

გამარჯვებულია ვინც დააკმაყოფილებს აუქციონის პირობას და გადაიხდის ყველაზე მაღალ თანხას. განაცხადის მიღება 2013 წ. 9 სექტემბრიდან 20 სექტემბრის 16:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2013 წ. 22 სექტემბერს 17:00 სთ ს.ს.ი.პ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლაში, მისამართი ქობულეთის რაიონი,სოფელი ხალა. ტელ.;577304193.

2013 წლის 24 სექტემბერს 17 საათზე, მისამართზე: თბილისი, პეკინის გამზირი N39-ში „საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია +"-ის შენობაში დანიშნულია „საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია +"-ის წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1) „საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია +"-ის გამგეობის წევრების გამოწვევა და გამგეობის წევრების არჩევა.

2) „საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია +"-ის პრეზიდენტის არჩევა.

3) „საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია +"-ის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

4) „საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია +"-ის წევრების მიღება.

„საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია +"-ის პრეზიდენტი ყველა წევრს იწვევს და სთხოვს მობრძანდნენ აღნიშნულ კრებაზე.

აუქციონი

ტყიბულის მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუწციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე.

- ქ. ტყიბული, თაყაიშვილის ქ. N31, 250,0 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა ფართობით 220,0 მ2 (საკადასტრო კოდი 39.01.24.072).

საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენს 3180.00 ლარს.

საჯარო აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ს.

საჯარო აუქციონის მონაწილის ბილეთის ღირებულება შეადგენს 20 ლარს.

საჯარო აუქციონის „ბე" შეადგენს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%.

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან მეთექვსმეტე კალენდარულ დღეს 13.00 საათზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინსტრაციულ შენობაში, მისამართი: ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N3. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება მეთექვსმეტე კალენდარული დღის 12.00 სთ-მდე. თუ მეთექვსმეტე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთნ ერთდ სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დაკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშებზე :

„ბე" - ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ს.კ. 219636259, „პრივატბანკი" ბ.კ. CAVOGE 22, ა/ა GE84TP0033030020000330.

„ბილეთის ღირებულება" 20 ლარი - ს.კ.TRESGE 22, სახაზინო კოდი 300273390.

მისამართი: ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N3.

ტელეფონი: 497 222 133

ორი ტესტის შემდეგ

HYUNDAI

ზურა თალაკვაძე
ცელიედან

საქართველო ევროკავშირშია. ესპანეთი იქ ყველაფერს აკონტროლებს. საფრანგეთი იქ თითქმის ესპანეთია. რუსეთი რუსეთია. თურქეთი თურქეთში კარგია და სხვაგან - თურქეთი. იტალიას არ ჰყავს ენცო ბეარზოტი და აქედან გამომდინარე, ვერ იგებს. სლოვენიამ თამაში ისწავლა და სლოვენიაში ლიდერებთან მეგობრობა ვერ ისწავლეს. ყველაზე ნიჭიერი სლოვენიელი, ბენო უდრიხი სლოვენიაში არ ჩადის. და სხვები საერთო ფონს ავსებენ. ცდილობენ, რომ არ დაიკარგონ და მაინც იკარგებიან. სლოვენიაში პროცესი მშვიდად მიდის. მომგები თითქმის ყოველთვის იგებს. ან თითქმის ყოველთვის ვერ იგებს. ამ ეტაპზე ეს უმნიშვნელოა. და ძირითადი მომენტები ცოტა მერე, ერთ კვირაში წავა. რუსეთი შეიძლება ჯგუფში ჩარჩეს. და ესპანეთი შეიძლება ჩემპიონი გახდეს. ორივე თემა საინტერესოა. და საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველი ორი თამაშის შემდეგ უკვე სხვა დონეზეა. გავიაროთ პირველი ორი ტესტი. იგორ კოკოშკოვის ასისტენტთან, კოტე ტუღუშთან ერთად.

პოლონეთთან ნაკრებმა გეპარდივით ირბინა. ასი კილომეტრი საათში სიჩქარით, არითმიის გარეშე. პოლონეთი ჩვენთან ცოტა თავდაჯერებული, ცოტა ბრექობით მოვიდა და მარცინ გორტატი ამ ჩემპიონატის ბილ რასელი უნდა ყოფილიყო. ნუ, რასელამდე ვერ ქაჩავ. შერმადინამდეც ვერ გაქაჩა და გიომ გორტატს ატკინა. გორტატულად, დაუნდობლად და აგრესიულად ატკინა. და შეეერმადინი უმატებს. შერმადინი უკეთ ამჩნევს ყველაფერს და გიო უაზრო ფოლებს არ აგროვებს. უკეთეს ცენტრთან ერთად საქართველოს ნაკრებიც უკეთესია. ძრითადი მეხუთე ნომერი ნაკრების რეალური რასელი, ზაზა ფაჩულია ვერ დარის და გიო ასრულებს. შერმადინმა კოკოშკოვის საშინაო დავალება შეასრულა და შერმადინი კარგია. მართლა ძალიან კარგი. გიომ გორტატის შემდეგ ანტე ტომიჩსაც მიხედა. ხორვატის 7 პასი სერიოზულია და შერმადინის სტატისტიკა უფრო სოლიდური, დასათვლელი იყო. გიორგიმ პირველ ორ თამაშში საშუალოდ 11.5 ქულა, 9.0 მოხსნა, 2.0 პასი და ცენტრისთვის სოლიდური, 1.5 დაფარება აკრიფა. შერმადინი ამ ჩემპიონატის საუკეთესო ცენტრთან, ამერიკული სუპერლიგის ბოლო რეგულარულის საუკეთესო დამცველთან, მარკ გასოლთნ გაიტესტება. საინტერესო იქნება. ამ ჩემპიონატზე გიორგიც საინტერესოა. ვუსმენთ კოტე ტუღუშს.

კოტე ტუღუში: გიომ მოუმატა, მაგრამ ეს არ არის მისი მაქსიმუმი. შერმადინი დ ერთ-ერთი საჭირო, მომენტებში შეუცვლელი მოთამაშეა და ამ ჩემპიონატზე ბევრს ასწრებს. წინსამი რთული თამაში გვაქვს და გიომ, ისევე, როგორც დანარჩენებმა უნდა მოუმატონ. პოლონეთთან და ხორვატიასთან შერმადინი კარგი იყო. ჩვენი სურვილია, უკეთესი გახდეს. ძალიან რთულია გგორტატის, ტომიჩის წინააღმდეგ სტაბილურად თამაში და გიომ ეს გააკეთა. ცენტრის კარგი, დამაჯერებელი კალათბურთი სხვებზეც დადებითად მოქმედებს და ნაკრები უმატებს. როგორც გითხარით, შემდეგ თამაშებში გიოს დიდი იმედი გვაქვს.

კარიერაში საუკეთესოთ აკეტებს საქმს გიორგი ცინცაძე და ვიკა სანიკიძე სტაბილურად სტაბილურია. თუ ცინცაძე წინ ევრობასკეტზე და მანამდეც, მეოთდეხიდან მეოთხედამდე ვერ რჩებოდა მაღალ დონეზე, სანიიძე ამას უპრობლემოდ ასწრებდა. და სლოვენიაში ორივე ბევრს ასწრებს. სლოვენიაში ცინცაძე კლასიკური პირვლი ნომერია. კლასიური პირველი ნომრის აგრესიით და კლასიკური პირველი ნომრის კარგი ხედვით, მშვიდი პასებით და ლაზერული პასებით. ერთი მეორეს ხელს არ უშლის. და ერთი მეორეს ავსებს. ცინცაძე და სანიკიძეც ერთმანეთს ავსებენ. როგორც ყოველთვის. გიო იწყებს, ვიკა ამთავრებს. ცუდი, რომ ხორვატიასთან ეს კომბინაცია ბოლომდე ვერ მივიდა. ხორვატიასთან სანიკიძე ყველაფერს ასწრებდა და გიომ სანაკრებო სივი მასტერკლასით გაშალა. ცინცაძეზე სლოვენიაში დადიან და ცინაძეზე სლოვენიაში ივლიან. სანიკიძე ძველი თემაა. ვიკა კლასიკაა. ნაკრებში სანიკიძე ყველაფერს ასწრებს. ყველაფერს და ცოტა უფრო მეტს. სანიკიძე ერთ ტესტში საშუალოდ 19.0 ქულა, 6.0 პასი, 3.5 ჩაჭრა, 3.0 მოხსნა. კლასიკა კლასიკური ფლიმეიქერისგან. გიომ მოუმატა. და შემდეგი სამი თამაშისთვის უფრო უნდა მოუმატოს. ცინცაძე ჯერ ძალიან კარგია. ჩვენი სურვილია, უკეთესი იყოს. დარჩნენილია სამი რთული თამაში. იქ ეს ცინცაძე იქნება აუცილებელი. და დიდი დოზებით. ამაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელიც გვეთანხმება.

კოტე ტუღუში: გიორგი ცინცაძეს ძალიან არგი, დამაჯერებელი ჩემპიონატი აქვს. ვიქტორ სანიკიძე ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია და მისგან ამ დონეზე თამაშს ველოდებით. ვიცით, რომ ცინცაძე და სანიკიძე უმატებენ და ესპანეთთან, ჩეხეთთან, სლოვენიასთან მათზე (ისევე, როგორც ნაკრების დანარჩენ წევრებზე) ბევრი იქნება დამოკიდებული. როგორც ნახეთ, ევროპის ჩემპიონატზე ბევრი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ბევრს ექნება. მათ შორის, საქართველოს ნაკრებსაც. რთული, მაგრამ თანაბარი და საინტერესო ტურნირი იქნება. და რთული იქნება შემდეგ ეტაპზე გასვლა ნებისმიერი გუნდისთვის. სტატუსს, ჩემპიონატის წინ გაცემულ ავანსებს ამ ეტაპზე მნიშვნელობა არ აქვს. უნდა ითამაშო, მოიგო და შენი საქმე მაქსიმალურად კარგად გააკეთო. მთავარი ეს არის. ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. პოლონეთნ მოგება სასიამოვნო იყო და ხორვატიასთან წაგება - უსიამოვნო. უბრალოდ, ყველა ხედავს, რომ ნაკრების ყველა წევრი მაქსიმუმს აკეთებს. იმედი მაქვს, ეს ჩანს.

ეს მართლა ჩანს. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თქმის გარეშეც. ყველა მაგრად მუშაობს, ყველა მაქსიმუმს აკეთებს და ყველამ იცის, რომ ტურნირის ბოლომდე ეს ასე იქნება. ეს ნაკრები მართლა ბევრს იმსახურებს. ეს ჩვენი ნაკრებია.

საქართველო ევროკავშირშია. ესპანეთი იქ ყველაფერს აკონტროლებს. საფრანგეთი იქ თითქმის ესპანეთია. რუსეთი რუსეთია. თურქეთი თურქეთში კარგია და სხვაგან - თურქეთი. იტალიას არ ჰყავს ენცო ბეარზოტი და აქედან გამომდინარე, ვერ იგებს. სლოვენიამ თამაში ისწავლა და სლოვენიაში ლიდერებთან მეგობრობა ვერ ისწავლეს. ყველაზე ნიჭიერი სლოვენიელი, ბენო უდრიხი სლოვენიაში არ ჩადის. და სხვები საერთო ფონს ავსებენ. ცდილობენ, რომ არ დაიკარგონ და მაინც იკარგებიან. სლოვენიაში პროცესი მშვიდად მიდის. მომგები თითქმის ყოველთვის იგებს. ან თითქმის ყოველთვის ვერ იგებს. ამ ეტაპზე ეს უმნიშვნელოა. და ძირითადი მომენტები ცოტა მერე, ერთ კვირაში წავა. რუსეთი შეიძლება ჯგუფში ჩარჩეს. და ესპანეთი შეიძლება ჩემპიონი გახდეს. ორივე თემა საინტერესოა. და საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველი ორი თამაშის შემდეგ უკვე სხვა დონეზეა. გავიაროთ პირველი ორი ტესტი. იგორ კოკოშკოვის ასისტენტთან, კოტე ტუღუშთან ერთად.

იოზილის გადასვლა „არსენალში" ნამდვილი ბომბია

დორტმუნდის „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი მესუთ იოზილის მადრიდის „რეალიდან" ლონდონის „არსენალში" გადასვლას ეხმაურება და გარეთ ბეილის რეკორდულ ტრანსფერზე საუბრობს.

„იოზილის გადასვლა „არსენალში" ნამდვილი ბომბია. ძნელი სათქმელია, რატომ შეელია „რეალი" იოზილს. ალბათ ფულის გამო.

ადრე დორტმუნდშიც ხარჯავდნენ დიდ თანხებს, მაგრამ ის, რაც ახლა ინგლისში ხდება, სრული სიგიჟეა.

100 მილიონი ევრო ბეილში? შესაძლოა, პერესმა იცის ის, რაც სხვებმა არ იციან, მაგრამ მაინც არ მესმის, როგორ შეეძლო პერესს, ერთ ფეხბურთელში ამდენი გადაეხადა", - „სამეფო კლუბის" გადაწყვეტილებით გაკვირვებას ვერ ფარავს კლოპი.

ბეილის ტრანსფერში გადახდილი თანხით გაკვირვებული იყო იტალიელი ჯოვანი ტრაპატონიც, რომელიც ამბობდა, არც ერთი ფეხბურთელი არ ღირს 100 მილიონიო.

„რეალი" მილიონებს ითვლის

2012/13 წლების სეზონში მადრიდის „რეალის" შემოსავალმა 520,9 მილიონი ევრო შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ „სამეფო კლუბი" ამ მაჩვენებლით მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი კლუბია.

სეზონის განმავლობაში „სამეფო კლუბის" სუფთა მოგებამ 36,9 მილიონი შეადგინა, რაც ერთი წლის წინანდელ მაჩვენებელს 52,4 პროცენტით აღემატება.

შარშან მადრიდული კლუბი სპორტის ყველა სახეობაში პირველი იყო, რომელმაც შემოსავლების მხრივ 500-მილიონიან ზღვარს გადააბიჯა.

წელს „რეალი", სავარაუდოდ, შარშანდელ მიღწევას გაიმეორებს და კვლავ მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი კლუბი იქნება - ეს მაჩვენებელი 1,3%-ითაა მომატებული და 520,9 მლნ ევროს შეადგენს.

ე'ტოომ ყატარულ მილიონებზე უარი თქვა

სამუელ ეტო'ოს მახაჩყალის „ანჟიდან" დამატებითი მილიონების გამოსამუშავებლად ყატარში გადაბარგება შეეძლო, მაგრამ არჩევანი ლონდონის „ჩელსის" სასარგებლოდ გააკეთა. Football Italia-ს ცნობით, აფრიკელს ყატარელები სარფიან კონტრაქტს სთავაზობდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა მათ ყველა შეთავაზებაზე უარი თქვა.

„ეტო'ოს ერთ-ერთი ყატარული კლუბი ძალიან კარგ ხელშეკრულებას სთავაზობდა, მაგრამ არჩევანი „ჩელსის" სასარგებლოდ გააკეთა. ჟოზე მოურინიომ ეტო'ო დაარწმუნა, რომ „ჩელსიში" უნდა გადასულიყო", - ამბობს კამერუნელი თავდამსხმელის აგენტი გერმან ტკაჩენკო.

პრანდელის მემკვიდრე მასიმილიანო ალეგრიზე საუბრობენ

იტალიის ნაკრების დამრიგებელი ჩეზარე პრანდელი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ თანამდებობაზე დარჩენას არ გამორიცხავს.

იტალიურ პრესაშიც საუბრობენ იმაზე, რომ პრანდელი მსოფლიოზე ნაჩვენები ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში დაემშვიდობებოდა „სკუადრა აძურას".

„დათრგუნვილი ვარ იმ ხმების გამო, რომლიც ჩემს შესაძლო მემკვიდრეს უკავშირდება.

გულახდილად ვამბობ: ჩემი მომავალი ჯერ ზუსტად არ განმისაზღვრავს. ამაზე თავის დროზე ვიფიქრებ, მანამდე კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაა საჭირო", - ამბობს ჩეზარე პრანდელი.

იტალიის ნაკრების ყოფილი წევრი, დღეს კი სიცილიური „პალერმოს" მთავარი მწვრთნელი ჯენარო გატუზო დარწმუნებულია, რომ „მილანის" დამრიგებელი მასიმილიანო ალეგრი კარგად მოერგება იტალიის ნაკრების თავკაცის როლს.

გავრცელებული ინფორმაციით, პრანდელის შემცვლელად სწორედ მასიმილიანო ალეგრის ასახელებენ.

„ალეგრის ყველა თვისება აქვს იმისთვის, რომ ნაკრების სათავეში მოვიდეს. ნაკრების თავკაცობა დიდი პასუხისმგებლობაა. მასიმილიანომ კი გვიჩვენა, რომ კარგი მწვრთნელია. ვფიქრობ, ის იტალიის ნაკრებს შეეფერება, - ამბობს გატუზო და ნაკრების სათავეში მოსვლის შესაძლებლობასაც ეხება. - ვოცნებობ თუ არა იტალიის ნაკრების გაწვრთნაზე? შესაძლოა, ერთ დღეს ასეც მოხდეს... დღეს „პალერმოს" სერია A-ში დაბრუნებაზე ვფიქრობ".

ყაზბეგი RED BULL GERGETIT 2013-ს უმასპინძლებს

გრიგოლ ხოშტარია

ყაზბეგი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით 14 სექტემბერს მსოფლიოში ყველაზე ექსტრემალური გუნდური შეჯიბრების - Red Bull GerGetIt სამასპინძლოდ ემზადება.

ღონისძიებასთან დაკავშირებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა.

Red Bull GerGetIt - ეს არის ესტაფეტური შეჯიბრება, რომელიც წლეულს პირველად ჩატარდება საქართველოში. ექსტრემალები ოთხ დისციპლინაში გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს.

თითოეულ გუნდში არის კაიკერი, მეკლდეური, სამთო ველოსიპედისტი და სამთო მორბენალი. მონაწილეები ამავე თანმიმდევრობით წინასწარ განსაზღვრულ მარშრუტზე ერთმანეთს გადასცემენ ესტაფეტას. გაიმარჯვებს ის ოთხეული, რომელიც ყველაზე ნაკლებ დროს მოანდომებს სირთულეების გადალახვას და პირველი მივა გერგეტის მთის ფერდობზე მოწყობილ ფინიშთან.

მონაწილეთათვის რეგისტრაციის ვადა დღეს იწურება. გუშინდელი მონაცემებით, Red Bull GerGetIt-ში მონაწილეობის სურვილი აქვს აშშ-ს, უკრაინას, ლატვიას, რუსეთს, ირანს, თურქეთს, გერმანიას, სომხეთს და საქართველოს.

კაიაკით დაშვება: 6 კმ, მდინარე თერგი; კოორდინატორი - ცნობილი ექსტრემალი და კანოეს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქაცარავა

კლდეზე ცოცვა: 30 მეტრის სიმაღლის კლდე; კოორდინატორი - ცნობილი მთამსვლელი ტატო ნადირაძე

სამთო ველოსპორტი: 12 კმ; კოორდინატორი - 2010-2013 წლების საქართველოს ჩემპიონი სამთო ქროსში ბესო გავაშელი

სამთო სირბილი: 7 კმ; კოორდინატორი - ცნობილი სპორტსმენი (მძლეოსნობა, სირბილი), ოლიმპიური თამაშების პრიზიორი მაია აზარაშვილი

ღონისძიების მსვლელობის დროს დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, ადგილზე მობილიზებული იქნება მაშველთა ჯგუფი.

ექსტრემალებისთვის გამოყოფილი საპრიზო ფონდი 6000 ლარს შეადგენს, აქედან 3 ათას ლარს გამარჯვებული გუნდი მიიღებს. ასევე დაწესებულია სპეციალური პრიზები სპონსორებისგან იმ მონაწილეებისთვის, რომლებიც თითოეულ დისციპლინაში საუკეთესო შედეგს აჩვენებენ.

...Red Bull GerGetIt - საერთაშორისო პროექტი Red Bull Dolomitenmann-ის ქართული ანალოგია; მათ შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ ქართულ შეჯიბრებაში კლდეზე ცოცვაა დამატებული. Red Bull Dolomitenmann ავსტრიის დოლომიტის ალპებში ყოველწლიურად იმართება და ცნობილია როგორც ყველაზე რთული ესტაფეტური შეჯიბრება დასავლეთ ევროპაში. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში Red Bull GerGetIt-ს სურს გახდეს ყველაზე პრესტიჟული გუნდური შეჯიბრება აღმოსავლეთ ევროპაში, რაც მას მიმზიდველ საერთაშორისო პროექტად აქცევს.

მეგზური

13 სექტემბერი - გუნდების check in, სასტუმრო Rooms Hotel Kazbegi

14 სექტემბერი 10:00 - 13:00 - შეჯიბრება Red Bull GerGetIt

პროექტი ხორციელდება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink